

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი



ნათია თავდუმაძე

გადახდისუნარიანობისა და საქმიანი აქტივობის კორელაციური
ანალიზის საკითხები სს „შატო მუხრანისა“ და სს „თელიანი
ველის“ მაგალითზე

ნაშრომი შესრულებულია ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი:

მარიამ ვარდიაშვილი, ასოცირებული პროფესორი

თბილისი 2020

ანოტაცია

ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანალიზის საკითხი საკმაოდ აქტუალურია. საწარმოს საქმიანობის შედეგები და მისი წარმატება ფინანსურ მდგომარეობაზეა დამოკიდებული, ამიტომაც მათ ფინანსურ ანალიზს დიდი ყურადღება ეთმობა.

საწარმოს გადახდისუნარიანობა და საქმიანი აქტივობის კორელაციური ანალიზი ხელს უწყობს თავის დროზე გამოვლენილ იქნეს საწარმოს წინაშე მდგარი საფრთხეები ფინანსურ საქმიანობაში, რათა შემდგომ მოიძებნოს ფინანსური მდგომარეობისა და გადახდისუნარიანობის გაუმჯობესების რეზერვები.

სამაგისტრო ნაშრომში საკვლევი ობიექტების, სს „შატო მუხრანისა“ და სს „თელიანი ველის“, ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციაზე დაყრდნობით განხილულია ლიკვიდურობისა და საქმიანი აქტივობის კოეფიციენტები და მათი ცვლილება დინამიკაში.

სამაგისტრო ნაშრომის მიზანს წარმოადგენს საწარმოს გადახდისუნარიანობისა და საქმიანი აქტივობის ანალიზის თეორიული ასპექტების შესწავლა და საკვლევი ობიექტების ფინანსური ანგარიშგების ანალიზის განხორციელების საფუძველზე შესაბამისი დასკვნების გაკეთება.

Annotation

Issues of correlation analysis of solvency and business activity on the example of JSC “Chateau Mukhrani” and JSC “Teliani Valley”

Natia Tavdumadze

In the modern state of economic development, the financial analysis of a company is put forth. The company's financial well being is in direct correlation with the products being produced and its success, this creating a financial analysis can be curtail to a business, due to this companies choose to give more attention to it.

For the object of discussion and analysis, two wine companies were selected from the Georgian market; the companies are “Shato mukhrani” and “Teliani veli”. A financial analysis was conducted based on the financial accounts of the two companies. Specifically the study revolves around the solvency and liquidity of the said companies, there will be discussed an activity analysis, and conclusions will be made based on all the information provided.

In this thesis the subject of discussions is the analysis of a company's financial matters. Specifically the analysis will be about liquidity, solvency and work activity, the implications and conclusive remarks will be based on the analysis of corresponding materials.

In this given thesis the goal is to shown an analysis of a company's financial stability, prosperity, their abilities to pay, and their practical work activity based on the example of two companies “Shato Mukhrani” and “Teliani veli”.

სარჩევი

შესავალი	5
თავი I. გადახდისუნარიანობისა და საქმიანი აქტივობის მაჩვენებელთა სისტემა	8
1.1 გადახდისუნარიანობისა და საქმიანი აქტივობის ანალიზის მიზანი და ამოცანები.....	8
1.2 გადახდისუნარიანობის მაჩვენებელთა სისტემა	14
1.3 ავანსირებული ღირებულების ბრუნვადობის მაჩვენებელთა სისტემა	22
თავი 2. გადახდისუნარიანობისა და საქმიანი აქტივობის ანალიზის შედეგები საანალიზო საწარმოების მაგალითზე	28
2.1 საანალიზო საწარმოების გადახდისუნარიანობის ანალიზის შედეგები	28
2.2 საანალიზო საწარმოებში ავანსირებული ღირებულების ბრუნვადობის ანალიზის შედეგები	33
2.3 საანალიზო საწარმოების გადახდისუნარიანობისა და ავანსირებული ღირებულების ბრუნვადობის კორელაციური ანალიზის შედეგები.....	46
დასკვნა	51
გამოყენებული ლიტერატურა.....	55
დანართი.....	57

შესავალი

ფინანსები უზარმაზარ როლს თამაშობს, როგორც საბაზრო ურთიერთობების სტრუქტურის ფორმირებაში, ასევე მათი რეგულირების მექანიზმშიც. ფინანსები საბაზრო ურთიერთობების განუყოფელი ნაწილია, ასევე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებისთვის. სწორედ ამიტომ, დღეს, როგორც არასდროს, მნიშვნელოვანია დაფინანსების ხასიათის ცოდნა, ღრმად გაცნობიერება მათი ფუნქციონირების მახასიათებლების და ნახვა იმისა თუ როგორ გამოიყენება ისინი საწარმოს ეფექტური განვითარების ინტერესების შესაბამისად. ბიზნესის სუბიექტების საქმიანობის ფინანსური ასპექტების ხაზგასმით, ფინანსების მზარდი როლი დამახასიათებელი თვისება და ტენდენციაა მთელ მსოფლიოში.

პროფესიონალური ფინანსური მენეჯმენტი აუცილებლად მოითხოვს სიღრმისეულ ანალიზს, რაც შესაძლებელს ხდის ყველაზე ზუსტად შეფასდეს სიტუაციის გაურკვეველობა თანამედროვე კვლევის მეთოდების გამოყენებით. აქედან გამომდინარე, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საწარმოს გადახდისუნარიანობის, ლიკვიდურობისა და საქმიანი აქტივობის ანალიზს, ასევე მათი კორელაციური ანალიზის საკითხების შესწავლას.

თანამედროვე პირობებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით ეკონომიკურ ჭრილში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ფინანსურ ანალიზს, თავისი აქტუალური ბუნებიდან გამომდინარე. ფინანსურ მდგომარეობაზე დამოკიდებული კომპანიის წარმატება და შემდგომი განვითარების შესაძლებლობა.

ფინანსური რესურსების არსებობა და მათი ეფექტიანი გამოყენება მნიშვნელოვანია ბიზნესის ნებისმიერ სფეროში.

კომპანიის ხელმძღვანელობისთვის საწარმოს „გადარჩენისა“ და „გაკოტრებისგან“ თავის დასაცავად მნიშვნელოვანია ფინანსები და მათი ეფექტიანი მართვა, ასევე მნიშვნელოვანია ფინანსური ანალიზის დახმარებით ფინანსური საფრთხეების

გამოვლენა, შემდგომ კი შესაბამისი რეზერვების შექმნა ფინანსური მდგომარეობისა და გადახდისუნარიანობის გაუმჯობესებისათვის, განსაკუთრებით საბაზრო ეკონომიკის პირობებში. საწარმოს გადახდისუნარიანობისა და საქმიანი აქტივობის შესწავლას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ შიდა მომხმარებლებისა და მესაკუთრეებისთვის, ასევე გარე მომხმარებლებისა და პოტენციური ინვესტორებისთვის. რადგან საწარმოს გადახდისუნარიანობისა და საქმიანი აქტივობის მაჩვენებლებზე დაყრდნობით იღებენ ისინი გადაწყვეტილებებს, აფასებენ საწარმოს ფინანსურ მდგომარეობას. სწორედ, ამით განისაზღვრება მოცემული კვლევის აქტუალობა.

სამაგისტრო ნაშრომის კვლევის **ობიექტია** საწარმოს გადახდისუნარიანობისა და საქმიანი აქტივობის კორელაციური ანალიზის საკითხები, რათა დროულად გამოვლინდეს ის საფრთხეები, რომლის წინაშეც დგას კომპანია. ყოველივე ამის შემდგომ კი უკვე მნიშვნელოვანია შემუშავდეს სამოქმედო გეგმა, შეიქმნას რეზერვები, რომლის ხარჯზეც კომპანიის წინაშე მდგარი პრობლემები მოგვარდება და გაუმჯობესდება გადახდისუნარიანობა და ფინანსური მდგომარეობა.

სამაგისტრო ნაშრომის კვლევის **საგანია** იმ ფაქტორების გავლენა საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე, რომელიც გამოვლენილი იქნება საკვლევი ობიექტების, სს „შატო მუხრანისა“ და სს „თელიანი ველის“, ფინანსური ანგარიშგების გაანალიზებით.

„შატო მუხრანი“ პირველი ქართული შატოა, რომლის საქმიანობაც ეფუძნება მეღვინეობის იმ უნიკალური ტრადიციის გაგრძელებას, რომელიც შექმნა ბაგრატიონთა დინასტიის წარმომადგენელმა - ივანე მუხრანბატონმა. „შატო მუხრანი“ ეფუძნება 4 ძირითად ფასეულობას: ვენახები, მარანი, სასახლე და ისტორია.

ამჟამად ალექსანდრე ჭავჭავაძის მამულებში „თელიანი ველის“ ვენახებია გაშენებული. კომპანია აგრძელებს ტრადიციას და მომხმარებელს ყურძნის უძველესი ჯიშებისგან დაწურულ, ტრადიციული და ქართულ-ევროპული ტექნოლოგიებით დამზადებულ ღვინოებს სთავაზობს.

სამაგისტრო ნაშრომის მიზანს წარმოადგენს საწარმოს გადახდისუნარიანობისა და საქმიანი აქტივობის ანალიზის თეორიული ასპექტების შესწავლა და საკვლევო ობიექტების ფინანსური ანგარიშგების ანალიზის განხორციელების საფუძველზე შესაბამისი დასკვნების გაკეთება. ამ მიზნით, სამაგისტრო ნაშრომში დასახულია შემდეგი ამოცანები:

- საწარმოს ფინანსური მდგომარეობის, გადახდისუნარიანობის, ლიკვიდობისა და საქმიანი აქტივობის შეფასების მაჩვენებელთა ანალიზი და მისი სრულყოფა;
- გადახდისუნარიანობის, ლიკვიდობისა და საქმიანი აქტივობის დიაგნოსტიკის თეორიული საკითხების შესწავლა და მათი განზოგადება ღვინის მწარმოებელი ორი ქართული კომპანიის მიმდინარე აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების მონაცემების საფუძველზე;
- სათანადო დასკვნების გაკეთება და ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შემუშავება.

კვლევის მეთოდოლოგიურ და თეორიულ საფუძველს წარმოადგენს ეკონომიკური და ფინანსური ანალიზის ხერხები, დაჯგუფების, შედარების, კოეფიციენტების მეთოდი და სხვა.

კვლევის პროცესში გამოყენებულია ქართველი და უცხოელი ავტორების ნაშრომები საწარმოს გადახდისუნარიანობის, ლიკვიდობისა და საქმიანი აქტივობის დიაგნოსტიკის საკითხებზე.

კვლევის შედეგად ჩამოყალიბებული დასკვნებისა და რეკომენდაციების გამოყენება საანალიზო საწარმოებს დაეხმარება ფინანსური მდგომარეობის უზრუნველსაყოფად. ზემოთ ჩამოთვლილი ამოცანების გადასაჭრელად გამოყენებულ იქნა სს „მატო მუხრანის“ და სს „თელიანი ველის“ 2018 წლის ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მოიცავს ინფორმაციას ჩვენთვის სასურველი კოეფიციენტების გამოსათვლელად და კომპანიების საქმიანობის შესაფასებლად.

თავი I. გადახდისუნარიანობისა და საქმიანი აქტივობის მაჩვენებელთა სისტემა

1.1 გადახდისუნარიანობისა და საქმიანი აქტივობის ანალიზის მიზანი და ამოცანები

საწარმოს ფინანსური მდგომარეობის პირობები ხასიათდება საწარმოს შესაძლებლობით, უზრუნველყოს საქმიანობის პროცესი. ასევე მოიცავს საჭირო ფინანსურ რესურსებს, რომელიც აუცილებელია საწარმოს ნორმალური ფუნქციონირებისთვის, მათი ადგილმდებარეობის მიზანშეწონილობას და ეფექტურ გამოყენებას, სხვა პირებთან ფინანსური ურთიერთობას, გადახდისუნარიანობასა და სტაბილურ ფინანსურ მდგომარეობას.

ფინანსური მდგომარეობის სტაბილურობა დადასტურებულია მისი შესაძლებლობებით, რომ სრულად და დროულად დაფარავს გადასახადებს, ვალდებულებებს, დააფინანსებს თავის საქმიანობას გაფართოების შემთხვევაში, გაუმკლავდება გაუთვალისწინებელ სირთულეებს და შეინარჩუნებს გადახდისუნარიანობას. ზემოთ ჩამოთვლილი თვისებების ნაკლებობა კი მიანიშნებს ფინანსური მდგომარეობის არასტაბილურობაზე.

როდესაც საწარმო გადახდისუნარიანია მას აქვს შესაძლებლობა დაფაროს კუთვნილი ფინანსური ვალდებულებები სრულყოფილად და დროულად, რადგან ასეთ შემთხვევაში მას აქვს ფულისა და მისი ექვივალენტების საკმარისი ოდენობა სასწრაფო კრედიტორული დავალიანებების დასაფარავად.

ეკონომიკაში ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ბიზნეს სუბიექტების მიერ საქმიანობის განხორციელება ძალიან რთულია, რადგან მათი საქმიანობის შედეგები ჯაჭვური რეაქციით არის ერთმანეთთან დაკავშირებული. ვინაიდან საწარმოს

გადახდისუნარიანობას არსებითი გავლენა აქვს საწარმოს ფუნქციონირებაზე, ამიტომ მისით დაინტერესებულია როგორც შიდა, ასევე გარე მომხმარებლებიც.

საწარმოს გადახდისუნარიანობის ანალიზს ახორციელებენ არა მხოლოდ საწარმოს მენეჯერები და შესაბამისი სამსახური, არამედ მისი დამფუძნებლები და ინვესტორები. რესურსების გამოყენების ეფექტურობის შესასწავლად, ბანკებმა უნდა შეაფასონ საკრედიტო პირობები, დაადგინონ რისკის ხარისხი, მომწოდებლებმა დროულად მიიღონ გადასახადები, საგადასახადო ინსპექციებმა უზრუნველყონ ბიუჯეტის შემოსავლის გეგმის შესრულება და ა.შ.

საწარმოს გადახდისუნარიანობის დახასიათებისას ყურადღება უნდა გამახვილდეს ისეთ ინდიკატორებზე, როგორცაა ფულადი სახსრები მიმდინარე ანგარიშებზე ბანკებში, საწარმოს სალაროში, ზარალი, ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანებები და სესხები, რომლებიც არ დაიფარა დროულად.

თუ საწარმო დროულად ვერ დაფარავს ვალდებულებებს, ეს გამოიწვევს დაჯარიმებას, ყოველივე ეს კი უარყოფითად აისახება, როგორც ფინანსებზე, ასევე საწარმოს რეპუტაციაზე. ამიტომ მენეჯმენტი ყოველთვის აკონტროლებს გადახდისუნარიანობის დონის ცვალებადობას. რადგან მისით დაინტერესებულნი არიან არა მხოლოდ მესაკუთრეები, არამედ კრედიტორები, პარტნიორები, სამთავრობო სტრუქტურები და მთელი საზოგადოება.

გადახდისუნარიანობის ანალიზი ხორციელდება ბალანსის მონაცემების საფუძველზე, რაც აუცილებელია კომპანიისთვის არა მხოლოდ ფინანსური საქმიანობის შეფასებისა და პროგნოზირებისთვის, არამედ გარე ინვესტორებისთვისაც (მაგალითად, ბანკებისთვის). რადგან გადახდისუნარიანობა გავლენას ახდენს კომერციული გარიგების ფორმებსა და პირობებზე, მათ შორის სესხის მიღების შესაძლებლობაზეც.

საწარმოს გადახდისუნარიანობა ლიკვიდურობის ხარისხით ხასიათდება. ლიკვიდობის ხარისხი განისაზღვრება იმ პერიოდის ხანგრძლივობით, რომლის

განმავლობაშიც შესაძლებელია ამ ტრანსფორმაციის განხორციელება. რაც უფრო მოკლეა პერიოდი, მით უფრო მაღალია ამ ტიპის აქტივების ლიკვიდურობა. ლიკვიდურობა მოქმედებს, როგორც გადახდისუნარიანობის აუცილებელი წინაპირობა, რომლის შესრულების მონიტორინგი საწარმოს ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქციაა საბაზრო გარემოში.

ლიკვიდურობის კოეფიციენტების გაანგარიშება და ანალიზი საშუალებას იძლევა დადგინდეს მიმდინარე ვალდებულებების დაფარვის უსაფრთხოების ხარისხი. ეს კი საწარმოს გადახდისუნარიანობის დადგენის განუყოფელი ნაწილია.

საწარმოს ფინანსური მდგომარეობა შეიძლება შეფასდეს მოკლევადიანი და გრძელვადიანი პერსპექტივების თვალსაზრისით. პირველ შემთხვევაში, შეფასების კრიტერიუმებია საწარმოს ლიკვიდურობა და გადახდისუნარიანობა, ე.ი. მოკლევადიანი ვალდებულებების დროული და სრულად დაფარვის შესაძლებლობა.

უმნიშვნელო ნაშთების არსებობა მიმდინარე ანგარიშზე საერთოდ არ ნიშნავს, რომ კომპანია არის გადახდისუნარო, რადგან თანხები შეიძლება მიმდინარე ანგარიშზე გადავიდეს უახლოეს დღეებში, განსაკუთრებით იმის გამო, რომ საჭიროების შემთხვევაში აქტივების ზოგიერთი ტიპი მარტივად შეიძლება გადაიყვალოს ფულად სახსრებზე.

საწარმოს გადახდისუნარიანობისა და ლიკვიდურობის ანალიზის ამოცანებია:

- საჭირო ფულადი თანხების არსებობის გამოკვლევა;
- ლიკვიდურობის დონის გამოკვლევა;
- გადახდისუნარიანობის ბალანსის დახასიათება;
- გადახდისუნარიანობის დონის ამაღლების წინადადებების შემუშავება.

გადახდისუნარიანობა დადებით გავლენას ახდენს წარმოების გეგმების განხორციელებასა და საჭირო რესურსებით წარმოების უზრუნველყოფაზე. გადახდისუნარიანობა მიზნად ისახავს ფულადი რესურსების სისტემატურ მიღებასა და ხარჯვის უზრუნველყოფას, სააღრიცხვო დისციპლინის განხორციელებას, საკუთარი და

ნასესხები კაპიტალის რაციონალური პროპორციების მიღწევასა და მის ყველაზე ეფექტურ გამოყენებას.

საწარმოს საქმიანი აქტივობის ანალიზი შეიძლება წარიმართოს შემდეგი მიმართულებებით:

1. მოგების, შემოსავლების და ავანსირებული კაპიტალის ტემპების თანაფარდობა.
2. რესურსების გამოყენების ეფექტიანობა, აქტივების და კაპიტალის ბრუნვალობა;

საწარმოო პროცესებიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია, რომ საწყობში იყოს ნედლეულის მარაგები, რათა საჭიროების მიხედვით დროულად მოხდეს მისი გადატანა წარმოებაში მზა პროდუქციის მისაღებად. საწარმოსთვის პრიორიტეტულია რაც შეიძლება სწრაფად დაბრუნდეს უკან საწარმოში ფული, რომელიც ნედლეულში იქნა გადახდილი. ამიტომ უმჯობესია დროის პერიოდი, რომელიც საჭიროა რესურსებში განივთებული ფულადი თანხების უკან დასაბრუნებლად, მაქსიმალურად შემცირდეს, რათა ეფექტურად წარიმართოს წარმოების პროცესი. სწორედ ამიტომ, მოცემული დროის ხანგრძლივობაზე არის დამოკიდებული ბიზნესის აქტიურობა.

საწარმოს ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანია დაბანდებული სახსრების ბრუნვალობის დაჩქარების გზების ძიება და გამოკვლევა, რაც საწარმოს საქმიანი აქტივობის ანალიზის მიზანს წარმოადგენს.

საწარმოს საქმიანი აქტივობის ანალიზის ამოცანებია:

- ფინანსური ანგარიშგების პროგნოზირებისათვის ინფორმაციის მომზადება;
- ფულადი ნაკადების სტაბილურობის დადგენა;
- ავანსირებული ღირებულების ბრუნვალობის შესწავლა;
- ფაქტორების გამოვლენა, რომელიც მოქმედებს ბრუნვალობის დაჩქარებაზე.

ფულის ფუნქციებია: მიმოქცევის, ღირებულებითი საზომის და დაგროვების. საწარმო ორიენტირებულია ნებისმიერ დროს ჰქონდეს თავისუფალი ფულადი თანხები, რათა

დროულად შეძლოს მისი გამოყენება ვალდებულებებისა და გადასახადების დაფარვისათვის ინვესტირებისთვის. კომპანიის წარმოებისა და რეალიზაციის მოცულობა განსაზღვრავს ფულზე მოთხოვნას.

შემნიშნული რესურსების რაოდენობის ზრდასთან ერთად იზრდება წარმოებაში დაბანდებული ფულის რაოდენობაც, მაგრამ ფულის ბრუნვის დაჩქარება დადებითად აისახება წარმოების პროცესზე, რადგან საწარმო ნაკლები რაოდენობის თავისუფალ ფულად თანხებს გამოიყენებს.

ერთმანეთისგან განასხვავებენ საოპერაციო და ფინანსურ ციკლებს.

საოპერაციო ციკლის ხანგრძლივობა დღეებში = მატერიალური მარაგების ბრუნვის პერიოდი + მოთხოვნების დაფარვის პერიოდი

ფინანსური ციკლი დღეებში = საოპერაციო ციკლის ხანგრძლივობა - კრედიტორული დავალიანების დაფარვის პერიოდი

ფინანსური ციკლი უკავშირდება საწარმოს ძირითად საქმიანობას. ეს პროცესი ხელს უწყობს ნაღდი ფულის მიღებას, რის შედეგადაც საწარმო ღებულობს საჭირო ფულად საშუალებებს, რომელიც გამოიყენება საბრუნავი სახსრების შევსებისთვის, წარმოების ზრდის ხელშეწყობისა და ძირითადი საშუალებების შეძენასთან დაკავშირებული ვალდებულებების დასაფარად. სხვა ნებისმიერი მოთხოვნა ნაღდ ფულზე, იმყოფება საწარმოს ძირითადი საქმიანობის საზღვრებს გარეთ და ასეთი მოთხოვნა ხელმძღვანელობამ მას შემდეგ უნდა განიხილოს, რაც უზრუნველყოფილი იქნება საოპერაციო და საინვესტიციო დაფინანსების მოთხოვნები. [9,261]

საოპერაციო ციკლის შემცირება და ავანსირებული ღირებულების ბრუნვადობის მიმართულებით არასასურველი შედეგების გაუმჯობესება ფინანსური მენეჯმენტის ზრუნვის მნიშვნელოვან მიმართულებას უნდა წარმოადგენდეს.

ბიზნესის საქმიანობის ანალიზი და შეფასება ხორციელდება ხარისხობრივ და რაოდენობრივ დონეზე. ანალიზი ხარისხობრივ დონეზე გულისხმობს საწარმოს

საქმიანობის შეფასებას არაფორმალური კრიტერიუმების შესაბამისად: გაყიდვების ბაზრების სიგანე, საწარმოს ბიზნესის რეპუტაცია, მისი კონკურენტუნარიანობა, რეგულარული მომწოდებლებისა და მყიდველების არსებობა, გრძელვადიანი გაყიდვების ხელშეკრულებები, სასაქონლო ნიშნები და ა.შ.

ეს კრიტერიუმები მიზანშეწონილია შედარდეს ამ ინდუსტრიაში ან ბიზნესში მოქმედ სხვა ბიზნეს სუბიექტების ანალოგიურ პარამეტრებს. ბიზნესის საქმიანობის რაოდენობრივი კრიტერიუმები ხასიათდება აბსოლუტური და ფარდობითი მაჩვენებლების სისტემით. აბსოლუტურ მაჩვენებლებს შორის აუცილებელია აღინიშნოს პროდუქციის, საქონლის, მოგების, ფულადი ნაკადების ოდენობა და ა.შ.

კომპანიის აქტივების გაზრდა, რაც შემდგომ უკვე საწარმოო მასშტაბების გაზრდასაც იწვევს, ხშირად კომპანიის მესაკუთრეთა და მისი მენეჯმენტის პერსონალის მიერ დადგენილი ერთ-ერთი მთავარი სამიზნეა პირდაპირ ან აშკარა ფორმით. საწარმოს საქმიანობის ანალიზი საშუალებას იძლევა განვითარდეს მიმდინარე ძირითადი წარმოების საქმიანობის შედეგები და ეფექტურობა.

1.2 გადახდისუნარიანობის მაჩვენებელთა სისტემა

ფინანსური მდგომარეობა არის საწარმოს ეკონომიკური საქმიანობის ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებელი. ეს არის მისი ფინანსური კონკურენტუნარიანობის, ფინანსური რესურსებისა და კაპიტალის გამოყენების, სახელმწიფოსა და სხვა ბიზნეს სუბიექტების მიმართ ვალდებულებების შესრულების ინდიკატორი.

ფინანსური საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია საწარმოს აქტივების გაზრდა. ამისათვის მან მუდმივად უნდა შეინარჩუნოს გადახდისუნარიანობა და მომგებიანობა, ასევე აქტივების ოპტიმალური სტრუქტურა და ვალდებულებების ბალანსი.

გადახდისუნარიანობაზე გავლენას ახდენს მრავალი ფაქტორი, მაგალითად, საწარმოს აქტივები, მოკლევადიანი და გრძელვადიანი ვალდებულებები, რეგისტრირებული კაპიტალი და ა.შ. ბალანსის ვალდებულების სტრუქტურის შესწავლა საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ საწარმოს გადახდისუნარიანობის ერთ-ერთი შესაძლო მიზეზი - ნასესხები სახსრების ძალიან მაღალი წილი ეკონომიკური საქმიანობის დაფინანსების წყაროებში.

საწარმოს უნარის შესაფასებლად დროულად შეასრულოს თავისი მოკლევადიანი ვალდებულებები, იძლევა საწარმოს ლიკვიდურობისა და გადახდისუნარიანობის ანალიზი.

გადახდისუნარიანობა საწარმოს ფინანსური და ეკონომიკური საქმიანობის ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებელია საბაზრო ეკონომიკაში. თუ საწარმო ფინანსურად სტაბილურია, მას უპირატესობა აქვს ამავე პროფილის სხვა საწარმოებთან მიმართებაში, ინვესტიციების მოზიდვაში, სესხების მოპოვებაში, მომწოდებლების არჩევასა და გამოცდილი პერსონალის არჩევაში. რაც უფრო მაღალია საწარმოს სტაბილურობა, მით უფრო დამოუკიდებელი იქნება საწარმო საბაზრო პირობების მოულოდნელი ცვლილებებისადმი და, შესაბამისად, ნაკლები იქნება გაკოტრების რისკიც.

გადახდისუნარიანობა არის ინდიკატორი, რომელშიც გამოიხატება საწარმოს ფინანსური მდგომარეობა, მისი შესაძლებლობა, დროულად დააკმაყოფილოს მომწოდებლების გადახდის მოთხოვნები საქმიანი ხელშეკრულებების შესაბამისად, დაფაროს სესხები, თანამშრომლებს აუნაზღაუროს ხელფასი და დაფაროს სხვა საბიუჯეტო თუ არასაბიუჯეტო ვალდებულებები.

საწარმოს აქტივები და მათი სტრუქტურა შესწავლილია, როგორც წარმოებაში მათი მონაწილეობის თვალსაზრისით, ასევე მათი ლიკვიდურობის პოზიციიდან. აქტივების სტრუქტურის ცვლილება მიმდინარე კაპიტალის ზრდის სასარგებლოდ მიანიშნებს:

- უფრო მობილური აქტივების სტრუქტურის ფორმირებას, რაც ხელს უწყობს საწარმოს სახსრების ბრუნვის დაჩქარებას;
- წარმოების ბაზის შემცირებას;
- ძირითადი აქტივების ღირებულების დაგვიანებულ კორექტირებას ინფლაციის ჭრილში.

მიმდინარე აქტივების აბსოლუტურ და ფარდობით ზრდაზე შეიძლება მიუთითებდეს არა მხოლოდ წარმოების გაფართოება ან ინფლაციის ფაქტორზე გავლენა, არამედ კაპიტალის ბრუნვის შენელება, რაც იწვევს მისი მასის გაზრდის აუცილებლობას.

მიმდინარე აქტივების სტრუქტურის გავლენას გადახდისუნარიანობის შესწავლისას დიდი ყურადღება ექცევა დებიტორულ დავალიანებებს. დებიტორული დავალიანებების ზრდის მაღალი ტემპები იმაზე მეტყველებს, რომ ეს კომპანია აქტიურად იყენებს სასაქონლო სესხის სტრატეგიას თავისი პროდუქციის მომხმარებლებისთვის. ამავე დროს, თუ პროდუქტებზე გადახდა შეფერხებულია, კომპანია იძულებულია სესხი აიღოს თავისი საქმიანობის გასაძლიერებლად, იზრდება საკუთარი ფინანსური ვალდებულებები კრედიტორების წინაშე.

ამრიგად, დებიტორული დავალიანებების რეტროსპექტული ანალიზის მთავარი ამოცანაა მისი ლიკვიდობის შეფასება, რაც მოითხოვს თითოეული მოვალის შესახებ

ინფორმაციის, ვალის ოდენობის, შეზღუდვებისა და მოსალოდნელი სიმწიფის შესახებ ცნობების გაანალიზებას. ასევე აუცილებელია ფულადი ბრუნვის სიჩქარის შეფასება, მისი შედარება ინფლაციის მაჩვენებელთან.

ანალიზისთვის მიზანშეწონილია ყველა მიმდინარე აქტივების დაჯგუფება რისკის კატეგორიების მიხედვით. იმ აქტივებს, რომელთა გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ კონკრეტული მიზნით, აქვთ უფრო მეტი რისკი (ნაკლებად სავარაუდოა, რომ განხორციელდეს), ვიდრე მრავალდანიშნულებიანი აქტივები. რაც უფრო მეტი თანხა ინვესტირებული აქტივებში, რომლებიც მიეკუთვნება მაღალი რისკის კატეგორიას, უფრო დაბალია ფინანსური სტაბილურობა და, შესაბამისად, საწარმოს გადახდისუნარიანობა.

საწარმოს გადახდისუნარიანობის მიზეზები შეიძლება იყოს შემდეგი:

- მიმდინარე აქტივების შემადგენლობაში მაღალი რისკის აქტივების ზრდა;
- მიმდინარე აქტივების ბრუნვის შენელება;
- დებიტორული მნიშვნელოვანი ოდენობის ზარალის ანაზღაურება;
- გრძელვადიანი ნასესხები სახსრების გამოყენება და აქტივებში მათი არაეფექტური გამოყოფა;
- ვადაგადაცილებული გადასახდელების არსებობა და მისი წილის ზრდა;
- ზარალი ეკონომიკური საქმიანობიდან.

ლიკვიდურობა და გადახდისუნარიანობა ერთმანეთის იდენტური არ არის. ამიტომ, ლიკვიდურობის კოეფიციენტები შეიძლება ახასიათებდეს ფინანსურ მდგომარეობას, როგორც დამაკმაყოფილებელი, მაგრამ შეფასება შეიძლება მცდარი იყოს, თუ მიმდინარე აქტივები წარმოადგენს უკანონო აქტივებისა და ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანებების მნიშვნელოვან წილს.

ლიკვიდურობის ხარისხის მიხედვით, ე.ი. ფულად საშუალებებად გარდაქმნის სისწრაფის მიხედვით, საწარმოს აქტივები ასეთი სახით ჯგუფდება:

A1 - მაღალლიკვიდური აქტივები - საწარმოს ფულადი საშუალებები და მოკლევადიანი ფინანსური დაბანდებები (ფასიანი ქაღალდები);

A2 - სწრაფად რეალიზებადი აქტივები - დებიტორული დავალიანებები, რომელთა დაფარვის ვადა საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვეს არ აღემატება;

A3 - ნელა რეალიზებადი აქტივები - მარაგები, დაუმთავრებელი წარმოება, გადახდილი დღგ, დებიტორული დავალიანებები, რომელთა დაფარვის ვადა საანგარიშგებო პერიოდიდან 12 თვეს აღემატება;

A4 - ძნელად რეალიზებადი აქტივები - გრძელვადიანი აქტივები: ძირითადი საშუალებები, არამატერიალური აქტივები, დაუმთავრებელი მშენებლობები.

საწარმოს ვალდებულებები დაფარვის ვადებიდან გამომდინარე ჯგუფდება ასეთი სახით:

L1 - სასწრაფო ვალდებულებები - კრედიტორული დავალიანებები და ბანკის მოკლევადიანი კრედიტები, რომელთა გადახდის ვადა დამდგარია;

L2 - მოკლევადიანი ვალდებულებები - ეს არის მოკლევადიანი სესხები და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები;

L3 - გრძელვადიანი ვალდებულებები - ბანკის გრძელვადიანი სესხები, ვალდებულებები ფინანსური იჯარიდან, გრძელვადიანი თამასუქები, გასანაღდებელი ობლიგაციები;

L4 - მუდმივი პასივები - საკუთარი კაპიტალი, რომელიც მუდმივად საწარმოს განკარგულებაშია.

საწარმოს გადახდისუნარიანობის დასახასიათებლად სხვადასხვა მაჩვენებლები გამოიყენება. ესენია: გადახდისუნარიანობის ბალანსი, ლიკვიდურობის კოეფიციენტები და მარაგების დაფარვის მაჩვენებლები.

საწარმოს გადახდისუნარიანობისა და ლიკვიდურობის ანალიზის საფუძვრებია:

- გადახდისუნარიანობის ბალანსის შედგენა;
- ლიკვიდურობის კოეფიციენტების დინამიკის (ტრენდების) შესწავლა;
- საწარმოს ფინანსური სტაბილურობის მაჩვენებლების დინამიკური ანალიზი;
- დასკვნების გაკეთება და საჭირო ღონისძიებების შემუშავება.

პრაქტიკაში ძირითადად ლიკვიდურობის დასახასიათებლად გამოიყენება შემდეგი სამი კოეფიციენტი: ლიკვიდურობის აბსოლუტური, სწრაფი და საერთო კოეფიციენტები.

აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი= ფულადი თანხები / მიმდინარე ვალდებულებები

იგი აჩვენებს, საწარმოში მოცემულ მომენტში არსებული ფულადი თანხებით, მიმდინარე ვალდებულებების რა ნაწილის დაფარვაა შესაძლებელი. იგი ვალების დაფარვის ყველაზე უტყუარი მაჩვენებელია. იდეალურ შემთხვევაში, ეს კოეფიციენტი 0,2-ზე ანუ 20%-ზე ნაკლები არ უნდა იყოს. [9,184]

ეკონომიკურ ლიტერატურაში მითითებულია, რომ საწარმოს ბალანსი ითვლება აბსოლუტურად ლიკვიდურად, თუ ადგილი აქვს შემდეგ თანაფარდობებს:

$$A_1 \geq L_1$$

$$A_2 \geq L_2$$

$$A_3 \geq L_3$$

$$A_4 \leq L_4$$

პირველი სამი თანაფარდობის პირობებში, აუცილებლად სრულდება მეოთხეც, ამიტომ მნიშვნელოვანია პირველი სამი ჯგუფის აქტივების და ვალდებულებების ჯამების შეფარდება. მეოთხე თანაფარდობას აქვს „მაბალანსებელი“ ხასიათი და ამავე დროს გააჩნია ღრმა ეკონომიკური შინაარსი. მისი შესრულება მიუთითებს ფინანსური მდგრადობის მინიმალური პირობების დაცვაზე, რაც საწარმოში საკუთარ საბრუნავ

საშუალებათა არსებობაში მდგომარეობს. ამ თანაფარდობებიდან რომელიმე მათგანის შეუსრულებლობისას საწარმოს ლიკვიდურობა არ არის აბსოლუტური, ამავე დროს ამა თუ იმ ჯგუფის აქტივების ნაკლებობა კომპენსირდება მათი ზედმეტობით მეორე ჯგუფში, თუმცა კომპენსაცია ხდება მხოლოდ ღირებულებითი ფორმით, რამდენადაც რეალურ საგადასახადო სიტუაციაში ნაკლებად ლიკვიდური აქტივები ვერ ცვლიან უფრო მეტად ლიკვიდურს.

მაღალლიკვიდური საშუალებებისა და სწრაფად რეალიზებადი აქტივების სასწრაფო ვალდებულებებთან და მოკლევადიან ვალდებულებებთან თანაფარდობით დგინდება მიმდინარე ლიკვიდურობა, რომელიც მიუთითებს, საწარმოს გადახდისუნარიანობაზე (ან პირიქით) უახლოესი პერიოდის განმავლობაში.

სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი =

$$= (\text{ფულადი თანხები} + \text{მოკლევადიანი მოთხოვნები}) / \text{მიმდინარე ვალდებულებები}$$

იგი ახასიათებს საწარმოში არსებული და მისაღები ფულადი თანხები, მიმდინარე ვალდებულებების რა ნაწილს ფარავს. ეს კოეფიციენტი ერთსა და ორს შორის უნდა მერყეობდეს. მინიმალური ფარდობაა 1:1. [9,185]

$$\text{საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი} = \frac{\text{მიმდინარე აქტივები}}{\text{მიმდინარე ვალდებულებები}}$$

მას მოკლედ საბრუნავი კაპიტალის (საბრუნავი საშუალებების) კოეფიციენტსაც უწოდებენ. იგი გვიჩვენებს მიმდინარე აქტივები რამდენჯერ აღემატება მიმდინარე ვალდებულებებს. ანუ, არსებული და მთლიანად მისაღები ფულადი თანხებით შესაძლებელია თუ არა მიმდინარე ვალდებულებების დაფარვა. შეიძლება ასეც განიმარტოს: მიმდინარე აქტივებში ავანსირებული ღირებულების რა რაოდენობა მოდის ყოველ ერთი ლარის ვალდებულებებზე. საერთაშორისო პრაქტიკის გამოცდილების მიხედვით, ეს კოეფიციენტი ორზე ნაკლები და სამზე მეტი არ უნდა იყოს. მისი ძალიან მაღალი დონე სასურველი არაა, რადგან უკუშედეგს იძლევა თუკი მიმდინარე აქტივები

მალიან მაღალი ტემპით იზრდება. ეს იმაზე მეტყველებს, რომ პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის პროცესები შეფერხდა, ავანსირებული ღირებულების ბრუნვა ეცემა და ფინანსური მდგომარეობა უარესდება. [9,185]

ლიკვიდურობის კოეფიციენტებთან ერთად შეისწავლება საკუთარი საბრუნავი სახსრების (სსს) მანევრირებისა და ფულადი უსაფრთხოების მაჩვენებლები. ზოგიერთი ავტორის მოსაზრებით, საკუთარი საბრუნავი სახსრების მანევრირების კოეფიციენტს ფუნქციონირებადი კაპიტალის მანევრირების კოეფიციენტსაც უწოდებენ.

$$\text{სსს მანევრირების კოეფიციენტი} = \frac{\text{ფულადი საშუალებები}}{\text{საკუთარი საბრუნავი სახსრები}}$$

იგი გვიჩვენებს, საკუთარ საბრუნავ სახსრებში რა წილი უჭირავს ყველაზე ლიკვიდურ საშუალებებს. იგი ნულიდან ერთამდე მერყეობს. ამ მაჩვენებლის ზრდა დადებით მოვლენას წარმოადგენს. მისი სიდიდე საწარმოში თავისუფალი ფულადი თანხების საჭიროებაზეა დამოკიდებული. [9,185]

$$\text{ფულადი უსაფრთხოების (თავდაცვის) დიაპაზონი} = \frac{\text{ფული} + \text{ფასიანი ქაღალდები} + \text{დებიტორები}}{\text{საშუალო დღიური ხარჯები}}$$

ესეც საყურადღებო მაჩვენებელია. იგი ახასიათებს, რამდენი დღის ხარჯია დაფარული ფულადი აქტივებით ანუ რამდენი დღის ფულადი აქტივის მარაგი არსებობს. საშუალო დღიური ხარჯი გამოითვლება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მოცემული ხარჯების გაყოფით წელიწადის დღეთა რიცხვზე. [9,185]

ანალიზის დროს აგრეთვე შეისწავლიან შემდეგ მაჩვენებლებს:

$$\begin{aligned} \text{მიმდინარე გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი} &= \\ &= \frac{\text{ფულადი თანხები}}{\text{მიმდინარე ვალდებულებები} - \text{მიმდინარე მოთხოვნები}} \end{aligned}$$

$$\text{პერსპექტიული ლიკვიდურობა} = \frac{\text{წმინდა მოგება} + \text{ამორტიზაცია}}{\text{შემოსავალი რეალიზაციიდან}}$$

$$\text{კრიტიკული ლიკვიდურობა} = \frac{\text{ფულადი თანხები} + \text{დებიტ. დავ.}}{\text{ვადადამდგარი ვალდ.} + \text{მოკლევად. ვალდებ.}}$$

კრიტიკული ლიკვიდურობის კოეფიციენტი 0,7–0,8 დიაპაზონში უნდა მოძრაობდეს.

რადგან არსებითად ლიკვიდურობა და გადახდისუნარიანობა ერთი და იგივე შინაარსის ცნებებია, ამიტომ გადახდისუნარიანობის დონე ლიკვიდურობის კოეფიციენტებით იზომება.

1.3 ავანსირებული ღირებულების ბრუნვადობის მაჩვენებელთა სისტემა

საწარმოს საქმიანი აქტივობა ვლინდება განვითარების დინამიკაში, მისი მიზნების მიღწევაში, ეკონომიკური პოტენციალის ეფექტურად გამოყენებასა და მისი პროდუქციისთვის ბაზრების გაფართოებაში.

საქმიანი აქტივობის შეფასება არის ბრუნვის მრავალფეროვანი რაციონის შესწავლა. ბრუნვის ინდიკატორები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან მათი ბრუნვის ხარისხი, ანუ ფულადი სახსრების გადაქცევის სიჩქარე პირდაპირ გავლენას ახდენს საწარმოს გადახდისუნარიანობაზე. რაც უფრო სწრაფია ბრუნვა, მით უფრო მაღალია შემოსავალი და, შესაბამისად, უფრო დაბალია ხარჯების წილი. ბრუნვა ერთ ეტაპზე იზრდება, შესაბამისად იგი იზრდება შემდგომ ეტაპზე. შედეგად ირკვევა, რომ რაც უფრო სწრაფად ხდება აქტივებში ინვესტირებული სახსრების გადაქცევა ფულად, მით უფრო მომგებიანი ხდება კომპანია.

საწარმოს საქმიანი აქტივობა ძალიან მგრძობიარეა სხვადასხვა პირობებში და ფაქტორებში მუდმივი ცვლილებების მიმართ. მაკროეკონომიკურ ფაქტორებს ძირითადი გავლენა აქვთ ბიზნეს სუბიექტების საქმიან აქტივობაზე და ამ ფაქტორების გავლენის ქვეშ შეიძლება შეიქმნას ან ხელსაყრელი „სამეწარმეო კლიმატი“, რომელიც ააქტიურებს ბიზნეს სუბიექტების აქტიური ქცევის პირობებს, ან პირიქით - წინაპირობებს საწარმოს საქმიანი აქტივობის შემცირებისა და შეწყვეტის შესახებ. კაპიტალის სტრუქტურა, მისი გადახდისუნარიანობა, ლიკვიდურობა, ორგანიზაციის პოტენციალი და ა.შ., დამოკიდებულია საქმიანი აქტივობის ბუნებასა და ხარისხზე.

საწარმოს ფინანსური სტაბილურობა და გადახდისუნარიანობა დამოკიდებულია აქტივებში დაბანდებული სახსრების ფულად სახსრებად გადაქცევის სისწრაფეზე.

საწარმოს ფინანსური პოტენციალის შესაფასებლად მნიშვნელოვანია ბრუნვის კოეფიციენტები, რადგან სახსრების ბრუნვის სიჩქარე პირდაპირ გავლენას ახდენს საწარმოს გადახდისუნარიანობის დონეზე, ხოლო თანხების ბრუნვის სიჩქარის ზრდა

ასახავს, სხვადასხვა ექვივალენტურ პირობებში, ორგანიზაციის წარმოებისა და ტექნიკური პოტენციალის ზრდას. ამისათვის გამოითვლება ბრუნვის სხვადასხვა ინდიკატორები, რომლებიც საანალიზო საწარმოს ეკონომიკური საქმიანობის ყველაზე განზოგადებულ კონცეფციას იძლევა.

საწარმოს საქმიანი აქტივობის ძირითადი მაჩვენებლებია საბრუნავი კაპიტალის ანუ მიმდინარე აქტივების ბრუნვადობის მაჩვენებლები. ესენია:

- ავანსირებული ღირებულების ბრუნვადობის საერთო მაჩვენებლები;
- ავანსირებული ღირებულების ბრუნვადობის კერძო მაჩვენებლები;
- ფულის ბრუნვის მაჩვენებლები.

ავანსირებული ღირებულების ბრუნვის სიჩქარე განსაზღვრავს საწარმოს საქმიანი აქტივობის ხარისხს. ავანსირებული ღირებულების ბრუნვადობის დაჩქარება საწარმოს ფინანსურ მდგომარეობას აუმჯობესებს, ზრდის მისი გადახდისუნარიანობის დონეს.

ავანსირებული ღირებულების ბრუნვადობის დაჩქარების შედეგად მიიღწევა თავისუფალი ფულადი სახსრების გამოთავისუფლება. ხოლო, ბრუნვადობის შენელების შედეგად წარმოიშობა ბრუნვაში დამატებითი სახსრების მოზიდვის აუცილებლობა, რაც ძაბავს საწარმოს გადახდისუნარიანობას. ამიტომ, ავანსირებული ღირებულების ბრუნვადობის დაჩქარების უზრუნველყოფა წარმოადგენს საწარმოს ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას.[9,262]

მიმდინარე აქტივებში ავანსირებული ღირებულების ანუ საბრუნავი კაპიტალის (საბრუნავი საშუალებების) ბრუნვადობის ხარისხი მათი ბრუნვადობის მაჩვენებლებით შეისწავლება. ბრუნვადობის სამი ტიპის მაჩვენებელი არსებობს:

- **ბრუნვის რიცხვი** - იგი ახასიათებს, ავანსირებული ღირებულება რამდენჯერ შემობრუნდება წელიწადში;
- **ბრუნვის პერიოდი დღეებში** - იგი ზომავს, რამდენი დღე ჭირდება ავანსირებული ღირებულების ერთ შემობრუნებას;

- დამაგრების (ანუ დაყოვნების) კოეფიციენტი - იგი ახასიათებს, თუ რამდენი ლარის ავანსირებული ღირებულება უნდა იყოს მუდმივად დაბანდებული, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ერთი ლარი შემოსავლის მიღება. [9,262]

განზოგადების ხარისხის მიხედვით, გამოიყიფა ბრუნვადობის საერთო მაჩვენებლები და ბრუნვადობის კერძო მაჩვენებლები.

საბრუნავი კაპიტალის ბრუნვადობის ზოგადი მაჩვენებლებია:

$$\text{ბრუნვის რიცხვი ჯერებში} = \frac{\text{წლიური შემოსავალი რეალიზაციიდან}}{\text{მიმდინარე აქტივების საშუალო წლიური ნაშთი}}$$

ან

$$\text{ბრუნვის რიცხვი ჯერებში} = \frac{365 \text{ დღე}}{\text{ერთი ბრუნვის პერიოდი დღეებში}}$$

ეს კოეფიციენტი აჩვენებს, მიმდინარე აქტივებში ავანსირებული ღირებულება რამდენჯერ შემობრუნდება წელიწადში. [9,263]

$$\text{ბრუნვის პერიოდი დღეებში} = \frac{\text{მიმდინარე აქტივების საშუალო წლიური ნაშთი} * 365}{\text{წლიური შემოსავალი რეალიზაციიდან}}$$

ან,

$$\text{ბრუნვის პერიოდი დღეებში} = \frac{365}{\text{ბრუნვის რიცხვი}}$$

ეს კოეფიციენტი აჩვენებს რამდენი დღე ჭირდება ავანსირებული ღირებულების ერთ შემობრუნებას. [9,263]

$$\text{დამაგრების კოეფიციენტი} = \frac{\text{მიმდინარე აქტივების საშუალო წლიური ნაშთი}}{\text{წლიური შემოსავალი რეალიზაციიდან}}$$

ეს კოეფიციენტი აჩვენებს, მიმდინარე აქტივებში მუდამ რამდენი ლარი იყო დაბანდებული ყოველი ერთი ლარის რეალიზაციის უზრუნველსაყოფად. [9,263]

მოცემულ ფორმულებში მნიშვნელოვანია მიმდინარე აქტივებიდან ფულადი თანხების გამორიცხვა, ვინაიდან ფულის ბრუნვა დამთავრებულია, ამიტომ მისი გამოყენება გამოიწვევს მაჩვენებლების შემცირებას ხელოვნურად.

გარდა, ზემოთ აღნიშნულისა, ასევე მნიშვნელოვანია ბრუნვადობის შემდეგი კერძო მაჩვენებელი:

$$\text{დებიტ. დავალიანების ბრუნვის ანუ ინკასაციის პერიოდი} = \frac{\text{დებიტ. დავ. საშ. ნაშთი} * 365}{\text{შემოსავალი რეალიზაციიდან}}$$

იგი გვიჩვენებს იმ დღეების რაოდენობას, რომელიც საჭიროა იმისთვის, რომ დებიტორებისაგან ამოღებულ იქნეს კუთვნილი თანხები, იმ მომენტიდან, როდესაც დავალიანებები წარმოიშვა. მოცემული მაჩვენებლის საფუძველზე გაიანგარიშება ასევე ინკასაციის (დაფარვის) რიცხვი, რომელიც გამოითვლება შემოსავლის (მიღებული კრედიტით გაყიდვებით) შეფარდებით საშუალო ნაშთთან დებიტორული დავალიანებებისა.

ავანსირებული ღირებულების ბრუნვადობის ცვლილებაზე მოქმედი ფაქტორების გამოვლენას ხელს უწყობს კერძო მაჩვენებლების გამოკვლევა, ხოლო თვით კერძო მაჩვენებლები მოქმედებენ ბრუნვადობის ზოგად მაჩვენებლებზე.

საქმიანი აქტივობა ხასიათდება დადებითად, თუ დაცულია შემდეგი პირობა:

$$\text{წლიური (ან საოპერაციო) მოგების ტემპი} > \text{რეალიზაციის ტემპი} > \text{მთელი ავანსირებული კაპიტალის ტემპი (ბალანსის ჯამი)} > 100\%$$

ასეთი დამოკიდებულების არსებობა ნიშნავს, რომ კომპანიის ეკონომიკური პოტენციალი (საქმიანობის მოცულობა) იზრდება, რესურსები ეფექტიანად გამოიყენება და მოგება უფრო მაღალი ტემპით იზრდება ხარჯების შემცირების ტემპთან შედარებით. ამ უკანასკნელს „საწარმოს ეკონომიკის ოქროს წესს“ უწოდებენ [9,266].

საწარმოს საქმიანი აქტივობის შეფასებისას საყურადღებოა კაპიტალში ნასესხები და საკუთარი წილის თანაფარდობა. როდესაც ნასესხები კაპიტალის წილი აღემატება

საკუთარს, მაშინ საწარმოს გადახდისუნარიანობა მცირდება, რადგან შესაძლოა თუ ყველა კრედიტორი ერთდროულად მოითხოვს ვალდებულებების დაფარვას, საწარმოს არ აღმოაჩნდეს საკმარისი რესურსები მათი მოთხოვნების დასაფარავად.

საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ზოგადი დახასიათებისთვის გამოიყენება **საკუთარი და მოზიდული სახსრების თანაფარდობის კოეფიციენტი**, რომელიც მიიღება საკუთარი კაპიტალისა და მოზიდული სახსრების შეფარდებით. ამ კოეფიციენტის ზრდა დადებითი მოვლენაა, მისი შემცირება კი ფინანსურ მდგომარეობას არასაიმედოს ხდის. კოეფიციენტის მინიმალური საზღვარი ერთის ტოლია.

საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი მიიღება საკუთარი კაპიტალისა და აქტივების ჯამის შეფარდებით. ამ კოეფიციენტით ხასიათდება აქტივებში საკუთარი კაპიტალის წილი. მიზანშეწონილია, რომ ამ კოეფიციენტის მნიშვნელობა აღემატებოდეს 0,5-ს. ის განსაზღვრავს ქონების რა ნაწილია შეძენილი საკუთარი კაპიტალის ხარჯზე.

ასევე მნიშვნელოვანია **ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტი**, რომელიც მიიღება აქტივების ჯამისა და საკუთარი კაპიტალის თანაფარდობით. ეს მაჩვენებელი იდეალურია, როცა ერთის ტოლია. ამ კოეფიციენტის ზრდა არახელსაყრელია, რადგან მიანიშნებს იმაზე, რომ საწარმოები უფრო მეტად ხდებიან დამოკიდებულნი კრედიტორებზე, რაც მათ ფინანსურ სტაბილურობას უქმნის საფრთხეს.

მომგებიანობა ანუ რენტაბელობა ახასიათებს მთელი ბიზნესის ეფექტურობას. ეს მიღებული შემოსავლის ფარდობითი მაჩვენებელია და ის შეიძლება გამოანგარიშდეს სახსრების ნებისმიერ წყაროსთან მიმართებაში (საკუთარი და ნასესხები). ნასესხები კაპიტალის რენტაბელობა მიუთითებს იმაზე, თუ რამდენად ეფექტურად იყენებს კომპანია მიღებულ ფულს სესხებისა და კრედიტებიდან. ნასესხები სახსრების რენტაბელობა არის მოგების ის ოდენობა, რომელიც მოდის ნასესხები სახსრების ყოველ ერთ ლარზე.

ნასესხები კაპიტალის რენტაბელობა გამოითვლება, რათა:

- დადგინდეს, თუ რამდენად ეფექტურად იხარჯება აქტივები;
- ჩამოყალიბდეს საწარმოს საკრედიტო პოლიტიკა;
- შესაძლებელი გახდეს შემოსავლის წყაროების კომპეტენტურად გადანაწილება;
- დადგინდეს კომპანიის კრედიტორეზე დამოკიდებულების დონე და შემცირდეს იმ ბერკეტების ძალა, რომელიც კრედიტორების ხელშია;
- შესაძლებელი გახდეს სამომავლო მოგების პროგნოზირება.

ეს არის მნიშვნელოვანი ინდიკატორი, რომელსაც შეუძლია განსაზღვროს ბიზნესის განვითარების სტრატეგია. ეს გვიჩვენებს, თუ კრედიტის რა მოცულობაა საჭირო საწარმოს ფუნქციონირებისა და მისი ზრდისთვის.

ნასესხები კაპიტალის რენტაბელობა გაიანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$\text{ნასესხები კაპიტალის რენტაბელობა} = \frac{\text{წმინდა მოგება}}{\text{მოკლევადიანი სესხი} + \text{გრძელვადიანი სესხი}}$$

ყველაზე ხშირად მომგებიანობა გამოითვლება პროცენტულად, ამიტომ მიღებული კოეფიციენტი მრავლდება 100-ზე. რაც უფრო მაღალია ეს კოეფიციენტი მით უკეთესი შედეგი აქვს საწარმოსთვის, რადგან ეს მიაჩნდება ნასესხები სახსრების გამოყენების ეფექტიანობაზე.

საწარმოს თავისი საქმიანობის დაფინანსება შეუძლია საკუთარი და ნასესხები კაპიტალით. თუმცა, უმჯობესია ნასესხები სახსრების წილი იყოს მცირე, რადგან კომპანია ნაკლებად იქნება დამოკიდებული კრედიტორებზე, ასევე გაიზრდება გადახდისუნარიანობაც და საწარმოს ექნება იმის შესაძლებლობა, რომ მოგებიდან მიღებული თანხები გამოიყენოს კომპანიის განვითარებისა და წარმატებული ფუნქციონირებისათვის.

თავი 2. გადახდისუნარიანობისა და საქმიანი აქტივობის ანალიზის შედეგები საანალიზო საწარმოების მაგალითზე

2.1 საანალიზო საწარმოების გადახდისუნარიანობის ანალიზის შედეგები

საწარმოს გადახდისუნარიანობის მაჩვენებლები განხილულია ქართული ღვინის საწარმოების, სს „შატო მუხრანისა“ და სს „თელიანი ველის“, მაგალითზე.

განხილება მოცემული კომპანიების გადახდისუნარიანობა და ლიკვიდურობა შესაბამისი კოეფიციენტების გამოყენებით. მიღებული შედეგების საფუძველზე კი შეფასდება საწარმოს ფინანსური მდგომარეობა, რათა დადგინდეს თუ რამდენად სტაბილურია საწარმოს საქმიანობა, ან პირიქით.

საწარმოს ხელმძღვანელობამ გადაწყვეტილების მიღების პროცესში უნდა გაითვალისწინოს შემდეგი:

- ლიკვიდურობა და გადახდისუნარიანობა წარმოადგენს საწარმოს მიმდინარე საქმიანობის რიტმისა და სტაბილურობის ყველაზე მნიშვნელოვან მახასიათებელს;
- ნებისმიერი მიმდინარე ოპერაცია დაუყოვნებლივ იმოქმედებს გადახდისუნარიანობისა და ლიკვიდურობის დონეზე;
- მიმდინარე აქტივების და მათი დაფარვის წყაროების მართვის არჩეული პოლიტიკის შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილებები პირდაპირ გავლენას ახდენს გადახდისუნარიანობაზე.

სს „შატო მუხრანის“ მონაცემებზე დაყრდნობით გამოთვლილია ლიკვიდურობის კოეფიციენტები. აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი მიიღება ფულადი თანხებისა და მიმდინარე ვალდებულებების ფარდობით.

$$\text{აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი} = \frac{195\ 000}{1\ 041\ 000} = 0,19$$

მოცემულ შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 19%-ის ტოლია, რაც ნამდვილად არ არის ცუდი შედეგი, რადგან ის იდეალურთან მიახლოებულია, თუმცა არა სრულყოფილად სასურველი.

ცხრილი №1. სს „შატო მუხრანის“ ბალანსის ლიკვიდურობის მაჩვენებლები (ათასი ლარი)

თანაფარდობა	2017	2018
$A_1 \geq L_1$	957 < 1,126	195 < 1,041
$A_2 \geq L_2$	2,286 > 1,126	3,018 > 1,041
$A_3 \geq L_3$	6,672 < 12,226	7,035 < 17,527
$A_4 \leq L_4$	23,833 > 20,356	29,685 > 21,365

საწარმოს ბალანსი ლიკვიდურად ჩაითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც შესრულდება თანაფარდობის ყველა პირობა, სს „შატო მუხრანისთვის“ ცხრილში მითითებული წლების განმავლობაში პირობებიდან მხოლოდ ერთი შესრულდა ($A_2 \geq L_2$), ამიტომ მისი ჩათვლა აბსოლუტურად ლიკვიდურად დაუშვებელია. ყოველივე ეს კი აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტითაც დასტურდება, რადგან ის მხოლოდ 0,19-ს უდრის.

$$\text{სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი} = (195\ 000 + 3\ 018\ 000) / 1\ 041\ 000 = 3,09$$

მოცემულ შემთხვევაში მიღებული შედეგი განსხვავდება ნორმირებულისგან. შატო მუხრანის მაგალითზე დაყრდნობით მიმდინარე ვალდებულებების დაფარვა მეტწილად ხორციელდება მისაღები ფულად თანხების ხარჯზე, რაც არ არის საიმედო, რადგან შედარებით რისკის შემცველია მათი დროულად დაფარვის შეუძლებლობიდან გამომდინარე.

$$\text{საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი} = \frac{10\ 048\ 000}{1\ 041\ 000} = 9,8$$

ამ შემთხვევაში საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი საკმაოდ მაღალია, რაც არასასურველია, რადგან მიმდინარე აქტივების მაღალი ტემპით ზრდა შესაძლოა განპირობებული იყოს წარმოებისა და რეალიზაციის შეფერხებით, ან ავანსირებული ღირებულების ბრუნვის დაცემით.

$$\text{სსს მანევრირების კოეფიციენტი} = \frac{195\ 000}{9\ 207\ 000} = 0,02$$

სსს=მიმდინარე აქტივებს - მიმდინარე ვალდებულებები=10 048 000 – 1 041 000 = 9 207 000

სსს მანევრირების კოეფიციენტი დადებით ფაქტორად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ, იმიტომ, რომ არ აქვს უარყოფითი მნიშვნელობა. მიღებული შედეგი ცხადყოფს, რომ საკუთარ საბრუნავ სახსრებში ლიკვიდურ საშუალებებს საკმაოდ მინიმალური ადგილი უჭირავს, რაც უარყოფითად აისახება საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე. რაც უფრო იზრდება ეს მაჩვენებელი, მით უკეთესია საწარმოსთვის.

$$\text{მიმდინარე გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი} = \frac{195\ 000}{1\ 041\ 000 - 3\ 018\ 000} = -0,098$$

$$\text{პერსპექტიული ლიკვიდურობა} = \frac{573\ 000 + 96\ 000}{9\ 387\ 000} = 0,07$$

$$\text{კრიტიკული ლიკვიდურობა} = \frac{195\ 000 + 3\ 018\ 000}{916\ 000 + 1\ 041\ 000} = 1,6$$

მოცემული კოეფიციენტები ცხადყოფს, რომ საწარმოს არც ისეთი სახარბიელო მდგომარეობა აქვს. მაშინ როდესაც კრიტიკული ლიკვიდურობის კოეფიციენტი 0,7-0,8 შუალედში უნდა იყოს ეს მაჩვენებელი 1,6-ის ტოლია.

ანალოგიური კოეფიციენტები გაანგარიშებულია სს „თელიანი ველის“ მაგალითზეც. შემდგომ კი მიღებული შედეგები წარმოდგენილია ცხრილის სახით, რათა შესაძლებელი გახდეს მოცემული საწარმოების შედარება და მათი შედეგების უფრო თვალსაჩინოდ წარმოჩენა.

$$\text{აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი} = \frac{5\,809\,000}{12\,416\,000} = 0,47$$

თელიანი ველის შემთვევაში აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი დამაკმაყოფილებელია, რადგან ის 20%-ზე მეტია.

ცხრილი №2. სს „თელიანი ველის“ ბალანსის ლიკვიდურობის მაჩვენებლები (ათასი ლარი)

თანაფარდობა	2017	2018
$A_1 \geq L_1$	3,239<10,497	5,809<12,416
$A_2 \geq L_2$	8,151<10,497	12,803>12,416
$A_3 \geq L_3$	14,483>5,175	14,008>6,860
$A_4 \leq L_4$	78,956<89,157	85,159<98,503

სს „თელიანი ველიც“ არ შეიძლება ჩაითვალოს აბსოლუტურად ლიკვიდურად, რადგან 2018 წელს ყველა პირობა არ შესრულებულა.

$$\text{სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი} = (5\,809\,000 + 12\,803\,000) / 12\,416\,000 = 1,5$$

ამ მხრივაც, თელიანი ველის მაჩვენებელი უმჯობესია, რადგან ის მოთავსებულია ერთსა და ორს შორის.

$$\text{საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი} = \frac{32\,620\,000}{12\,416\,000} = 2,6$$

საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტიც დამაკმაყოფილებელია საწარმოსთვის, რადგან ის თავსდება წინასწარ განსაზღვრულ შუალედში.

$$\text{სსს მანევრირების კოეფიციენტი} = \frac{5\,809\,000}{20\,204\,000} = 0,28$$

სსს=მიმდინარე აქტივებს - მიმდინარე ვალდებულებები=32 620 000–12 416 000=20 204 000

შატო მუხრანთან შედარებით სსს მანევრირების კოეფიციენტიც უმჯობესია, რადგან სრულდება შემდეგი ტოლობა $0,28 > 0,02$.

$$\text{მიმდინარე გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი} = \frac{5\,809\,000}{12\,416\,000 - 12\,803\,000} = -15,1$$

$$\text{პერსპექტიული ლიკვიდურობა} = \frac{3\,777\,000 + 809\,000}{24\,626\,000} = 0,19$$

$$\text{კრიტიკული ლიკვიდურობა} = \frac{5\,809\,000 + 12\,803\,000}{1\,616\,000 + 12\,416\,000} = 1,3$$

საერთო ჯამში სს „თელიანი ველის“ ლიკვიდურობის მაჩვენებლები ბევრად უკეთესია, ვიდრე სს „შატო მუხრანის“. მათ შორის არსებული განსხვავებები შეიძლება წარმოდგენილ იქნეს ცხრილის სახით, სადაც უფრო თვალსაჩინო იქნება მათი შედეგები (იხ. ცხრილი №3).

ცხრილი №3. საანალიზო საწარმოების ლიკვიდურობის კოეფიციენტები

კოეფიციენტები	სს „შატო მუხრანი“	სს „თელიანი ველი“
ლიკვიდურობის აბსოლუტური კოეფიციენტი	0,19	0,47
ლიკვიდურობის სწრაფი კოეფიციენტი	3,09	1,5
საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი	9,8	2,6
სსს მანევრირების კოეფიციენტი	0,02	0,28
მიმდინარე გადახდისუნარიანობის კოეფ.	-0,098	-15,1
პერსპექტიული ლიკვიდურობა	0,07	0,19
კრიტიკული ლიკვიდურობა	1,6	1,3

გამოთვლილი კოეფიციენტების საფუძველზე შეიძლება გამოითქვას ვარაუდი, რომ სს „თელიანი ველის“ ფინანსური მდგომარეობა უკეთესია. აბსოლუტური, სწრაფი და საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტები მოქცეულია იმ შუალედში, რაც წინასწარ არის განსაზღვრული კომპანიის ნორმალური ფუნქციონირებისათვის. მიღებული შედეგების საფუძველზე სავარაუდოა, რომ კომპანია მეტწილად სწორად მართავს თავის რესურსებს და ეფექტიანად იყენებს მათ.

2.2 საანალიზო საწარმოებში ავანსირებული ღირებულების

ბრუნვადობის ანალიზის შედეგები

თანამედროვე კომპანიების ფუნქციონირების ეფექტურობის შესაფასებლად ერთ-ერთი ყოვლისმომცველი მეთოდია მისი ბიზნეს საქმიანობის ინდიკატორების შეფასება, მათ შორის, როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი მიდგომა ორგანიზაციის ფუნქციონირების ეფექტურობის შესწავლის მიზნით. საბაზრო ურთიერთობებისა და კონკურენციის მაღალი დონის პირობებში, ორგანიზაციის საქმიანი აქტივობის შეფასება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი ფინანსური მდგომარეობის შესწავლაში, სტრატეგიული გეგმის ფორმირებასა და განვითარების პერსპექტივებში.

საქმიანი აქტივობა არის საწარმოს დინამიური განვითარების პროცესი, საწარმოს მიერ დაგეგმილი მიზნების მიღწევის შესაძლებლობა მისი პოტენციალის ეფექტური გამოყენების გზით, მისი პროდუქციის ბაზრების გაზრდისა და ფინანსური მდგომარეობის სტაბილურობის გაზრდით.

ავანსირებული ღირებულების ბრუნვადობის ანალიზისთვის არ არსებობს ზოგადად მიღებული სტანდარტები ბრუნვის ინდიკატორებისთვის. ისინი უნდა გაანალიზდეს ერთი ინდუსტრიის ფარგლებში და, კიდევ უკეთესი, კონკრეტული დინამიკისთვის, კონკრეტული საწარმოსთვის. ბრუნვის თანაფარდობის შემცირებამ შეიძლება ასახოს ჭარბი რეზერვების დაგროვება, საწყობის არაეფექტური მართვა და გამოუსადეგარი მასალების დაგროვება. მაგრამ მაღალი ბრუნვის რიცხვი ყოველთვის არ არის დადებითი ინდიკატორი, რადგან ის შესაძლოა მიუთითებდეს აქციების შემცირებაზე, რამაც შეიძლება პროცესში გამოიწვიოს შეფერხება.

ახლა კი გაანგარიშებულია საბრუნავი კაპიტალის ბრუნვადობის ზოგადი მაჩვენებლები სს „შატო მუხრანისა“ და სს „თელიანი ველის“ მონაცემების საფუძველზე.

საბრუნავი კაპიტალის ბრუნვადობის ზოგადი მაჩვენებლები (სს „შატო მუხრანი“).

1. ბრუნვის რიცხვი ჯერებში

$$K = \frac{9\,387\,000}{9\,505\,500} = 0.98$$

2. ბრუნვის პერიოდი დღეებში

$$K = \frac{9\,505\,500 * 365}{9\,387\,000} = 369 \text{ დღე}$$

3. დამაგრების კოეფიციენტი

$$K = \frac{9\,505\,500}{9\,387\,000} = 1,01$$

4. დებიტორული დავალიანების ბრუნვის ანუ ინკასაციის პერიოდი

$$K = \frac{2\,652\,000 * 365}{9\,387\,000} = 103 \text{ დღე}$$

5. ინკასაციის დაფარვის რიცხვი

$$K = \frac{9\,387\,000}{2\,652\,000} = 3,5$$

ავანსირებული ღირებულება წელიწადში 0,98-ჯერ შემობრუნდება, ანუ თითქმის ერთხელ ასწრებს შემობრუნებას. დაახლოებით 369 დღეა საჭირო იმისთვის, რომ 9 387 000 ლარი ავანსირებული ღირებულება უკან საწარმოში შემობრუნდეს. საბრუნავი აქტივების 1,01 ლარი მოდიოდა შემოსავლის ყოველ ერთ ლარზე წლის განმავლობაში. 103 დღე სჭირდება საწარმოს დებიტორული დავალიანებების ამოსაღებად, ანუ 3 თვეზე მეტი პერიოდი, ხოლო წელიწადში 3,5-ჯერ ამოიღებს დებიტორულ დავალიანებებს. მიღებული მაჩვენებლების შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ საწარმოს საქმიანობა არც ისე სახარბიელოა, რადგან საკმაოდ არის შენელებული ავანსირებული ღირებულების ბრუნვადობის სიჩქარე, რაც საბოლოო ჯამში განაპირობებს დროის ეკონომიის და ბრუნვიდან თავისუფალი ფულადი სახსრების გამოთავისუფლების შეუძლებლობას.

ანალოგიურად განხილულია საბრუნავი კაპიტალის ბრუნვაობის ზოგადი მაჩვენებლები სს „თელიანი ველი“ მონაცემების საფუძველზე.

საბრუნავი კაპიტალის ბრუნვაობის ზოგადი მაჩვენებლები (სს „თელიანი ველი“).

1. ბრუნვის რიცხვი ჯერებში

$$K = \frac{25\,318\,000}{24\,725\,000} = 1,02$$

2. ბრუნვის პერიოდი დღეებში

$$K = \frac{24\,725\,000 * 365}{25\,318\,000} = 356 \text{ დღე}$$

3. დამაგრების კოეფიციენტი

$$K = \frac{24\,725\,000}{25\,318\,000} = 0,98$$

4. დებიტორული დავალიანების ბრუნვის ანუ ინკასაციის პერიოდი

$$K = \frac{10\,477\,000 * 365}{25\,318\,000} = 151 \text{ დღე}$$

5. ინკასაციის დაფარვის რიცხვი

$$K = \frac{25\,318\,000}{10\,477\,000} = 2,4$$

ავანსირებული ღირებულების ბრუნვის რიცხვი წელიწადში არის 1,02, ანუ ერთხელ ასწრებს შემობრუნებას. დაახლოებით 356 დღეა საჭირო იმისთვის, რომ 25 318 000 ლარი ავანსირებული ღირებულება უკან საწარმოში შემობრუნდეს. საბრუნავი აქტივების 0,98 ლარი მოდიოდა შემოსავლის ყოველ ერთ ლარზე წლის განმავლობაში. 151 დღე სჭირდება საწარმოს დებიტორული დავალიანებების ამოსაღებად, ანუ 5 თვე, ხოლო დებიტორულ დავალიანებებს 2,4-ჯერ ამოიღებს წელიწადში. მიღებული მაჩვენებლების შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ საწარმოს საქმიანობა არც ისე

სახარბიელოა, რადგან საკმაოდ არის შენელებული ავანსირებული ღირებულების ბრუნვადობის სიჩქარე, რაც საბოლოო ჯამში განაპირობებს დროის ეკონომიის და ბრუნვიდან თავისუფალი ფულადი სახსრების გამოთავისუფლების შეუძლებლობას. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სს „შატო მუხრანთან“ შედარებით ოდნავ უკეთესი მდგომარეობა აქვს სს „თელიანი ველს“ ზოგიერთი მაჩვენებლის მიხედვით.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, საწარმოს საქმიანობა ხასიათდება რიგი მაჩვენებლებით, როგორცაა: რეალიზაციის ზრდის ტემპი, მოგების ზრდის ტემპი, მზა პროდუქციისა და რეალიზაციის ხელსაყრელი კონტრაქტების არსებობა, კვალიფიციური პერსონალის არსებობა და სხვა. უპირველეს ყოვლისა, საინტერესოა ეკონომიკური ზრდის ტემპი. გავრცელებული მოსაზრების თანახმად:

1. რეალიზაციიდან ამონაგების ზრდის ტემპი უნდა უსწრებდეს აქტივების ზრდის ტემპს, რაც აქტივების გამოყენების ეფექტიანობის ზრდაზე მიუთითებს;
2. მოგების ზრდის ტემპი უნდა უსწრებდეს რეალიზაციიდან ამონაგების ზრდის ტემპს, რაც საწარმოს რენტაბელობის ზრდაზე მიუთითებს;
3. ყველა ზრდის ტემპი 100%-ზე მეტი უნდა იყოს.

საანალიზოდ შერჩეული საწარმოების მონაცემების საფუძველზე შესწავლილ იქნა აღნიშნული მაჩვენებლები (იხ. ცხრილი №4).

ცხრილი №4. სს „შატო მუხრანის“ საქმიანი აქტივობის ზოგადი შეფასება (ათასი ლარი)

მაჩვენებლები	2016წ.	2017წ.	2018წ.	ცვლილება წინა წელთან შედარებით	
				2017წ.	2018წ.
ამონაგები რეალიზაციიდან	5,059	7,852	9,387	2,793	1,535
წმინდა მოგება	(3,408)	(1,271)	573	2,137	1,844
აქტივები	28,091	33,748	39,933	5,657	6,185
რეალიზაციის ზრდის ტემპი %	100	155	186	55	31
მოგების ზრდის ტემპი %	100	37	16	-63	-21
აქტივების ზრდის ტემპი %	100	120	142	20	22

ცხრილიდან ჩანს, რომ რეალიზაციის ზრდის ტემპი აღემატება მოგების ზრდის ტემპს. 2016-2017 წლებში კომპანია მოგების ნაცვლად ზარალზე გავიდა, რაც საწარმოს რენტაბელობას უარყოფითად აფასებს. თუმცა, ზარალის კლებაც უნდა აღინიშნოს.

ასევე რეალიზაციის ზრდის ტემპი აღემატება აქტივების ზრდის ტემპსაც. ეს დადებითი მაჩვენებელია და მიუთითებს აქტივების გამოყენების ეფექტიანობაზე.

მესამე პირობაც ნაწილობრივ სრულდება, რადგან რეალიზაციისა და აქტივების ზრდის ტემპები 100%-ზე მეტია.

ამდენად, სს „შატო მუხრანის“ ზოგადი შეფასებით მისი საქმიანობა ნაწილობრივ დამაკმაყოფილებელია.

ანალოგიურად განხილულია სს „თელიანი ველის“ მონაცემებზე დაყრდნობით ზემოთ აღნიშნული მაჩვენებლები.

ცხრილი №5. სს „თელიანი ველის“ საქმიანი აქტივობის ზოგადი შეფასება (ათასი ლარი)

მაჩვენებლები	2016წ.	2017წ.	2018წ.	ცვლილება წინა წელთან შედარებით	
				2017წ.	2018წ.
ამონაგები რეალიზაციიდან	14,294	19,988	25,318	5,694	5,330
წმინდა მოგება	1,834	5,943	3,777	4,109	-2,166
აქტივები	56,108	104,829	117,779	48,721	12,950
რეალიზაციის ზრდის ტემპი %	100	140	177	40	37
მოგების ზრდის ტემპი %	100	324	205	224	-119
აქტივების ზრდის ტემპი %	100	186	210	86	24

ცხრილის მიხედვით მოგების ზრდის ტემპი ძალიან განსხვავდება რეალიზაციის ზრდის ტემპისგან. თავდაპირველად მოგების ტემპი გაიზარდა, თუმცა 2018 წელს მაჩვენებელი შემცირდა, რაც არ არის დამაკმაყოფილებელი.

ამასთანავე საბაზისო წელთან მიმართებით რეალიზაციის ზრდის ტემპიც ჩამორჩება აქტივების ზრდის ტემპს, რაც უარყოფითად აისახება საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე, რადგან მიუთითებს აქტივების გამოყენების ეფექტიანობის კლებაზე.

მესამე პირობა სრულდება, რადგან რეალიზაციის, მოგებისა და აქტივების ზრდის ტემპები 100%-ზე მეტია.

ამდენად, სს „თელიანი ველის“ საქმიანი აქტივობის ზოგადი შეფასებით მისი მდგომარეობა საერთო ჯამში არ არის დამაკმაყოფილებელი.

გამომდინარე იქედან, რომ საწარმოო ციკლის შეუფერხებელ განხორციელებას უზრუნველყოფს საბრუნავი საშუალებები, ამიტომ მნიშვნელოვანია საბრუნავ საშუალებათა ანალიზის განხორციელება და მათი შესწავლა დინამიკაში, როგორც ეს მოცემულია ცხრილში (იხ. ცხრილი №6).

ცხრილი №6. სს „მატო მუხრანის“ საბრუნავი საშუალებების დინამიკა (ათასი ლარი)

მაჩვენებლები	2017		2018		ცვლილება წინა წელთან შედარებით	
	აბსოლ. მაჩვენ.	ხვ. წილი %	აბსოლ. მაჩვენ.	ხვ. წილი %	2018	
					აბსოლ. მაჩვენ.	ხვ. წილი %
საბრუნავი საშუალებები ანუ მიმდინარე აქტივები	9,915	100	10,248	100	+333	0
1. მარაგები	6,540	65,9	6,993	68,2	+453	+2,3
დაუმთვარებელი წარმოება	3,680	37,1	4,019	39,2	+339	+2,1
მზა პროდუქცია	1,304	13,2	1,453	14,2	+149	+1
შესაფუთი მასალები	1,006	10,1	965	9,4	-41	-0,7
მელვინეობა და სხვა მასალა	131	1,3	148	1,4	+17	+0,1
სხვა მარაგები	419	4,2	408	4	-11	-0,2
2.სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	2,286	23,1	3,018	29,4	+732	+6,3
სავაჭრო მოთხოვნები	2,327	23,5	2,897	28,3	+570	+4,8
მიღებული ავანსები	82	0,8	230	2,2	+148	+1,4
სხვა მოთხოვნები	43	0,4	10	0,1	-33	-0,3
გაუფასურების რეზერვი	(166)	(1,6)	(119)	(1,2)	-47	-0,4
3.ფული და მისი ექვივალენტები	957	9,7	195	1,9	-762	-7,8
ბანკში არსებული ნაშთები	952	9,6	193	1,88	-759	-7,72
ნაღდი ფული სალაროში	5	0,1	2	0,02	-3	0,08
4.საგადასახადო მოთხოვნები	132	1,3	42	0,5	-90	-0,8

სს „მატო მუხრანის“ საბრუნავი საშუალებების დინამიკის ანალიზის შედეგად დგინდება, რომ საბრუნავი საშუალებები 2018 წელს გაიზარდა 333 ათასი ლარით. მასში განსაკუთრებით დიდი ხვედრითი წილი უჭირავს მარაგებს (68,2%), ხოლო მარაგებში - დაუმთავრებელ წარმოებას. 2017 წელს დაუმთავრებელი წარმოების ხვედრითი წილი 37,1% იყო, 2018 წელს კი ეს მაჩვენებელი 2,1%-ით გაიზარდა და გახდა 39,2%, რაც არ არის დადებითი მოვლენა, რადგან ეს შეიძლება ნიშნავდეს წარმოების პროცესების შენელებას. 2018 წელს წინა წელთან შედარებით გაიზარდა სავაჭრო მოთხოვნების წილიც 4,8%-ით, მნიშვნელოვანია ამ ზრდის გამომწვევი მიზეზის ძიება, რათა შემოწმდეს ადგილი ხომ არ ქონდა დებიტორული დავალიანებების ამოღების პერიოდის ზრდას. ფულადი საშუალებები შემცირების ტენდენციით ხასიათდება, 2018 წელს 7,8%-ით შემცირდა 2017 წლის მონაცემთან შედარებით.

ანალოგიურად განხილულია სს „თელიანი ველის“ საბრუნავი საშუალებების დინამიკა, შეფასებულია ზრდისა თუ შემცირების ტენდენციები, მიღებული შედეგების საფუძველზე კი გამოთქმულია შესაბამისი ვარაუდები. ძირითადად სწორედ საბრუნავი საშუალებების ხარჯზე ხდება გადასახადებისა და ვალდებულებების დაფარვა, მისმა შეფერხებამ და სისუსტეებმა კი შეიძლება გამოიწვიოს ფინანსური მდგომარეობის გაუარესება. საბრუნავი საშუალებების სტრუქტურის შემადგენელი ელემენტები ქვემოთ მოცემულია ცხრილის სახით (იხ. ცხრილი №7).

ცხრილი №7. სს „თელიანი ველის“ საბრუნავი საშუალებების დინამიკა (ათასი ლარი)

მაჩვენებლები	2017		2018		ცვლილება წინა წელთან შედარებით	
					2018	
	აბსოლ. მაჩვენ.	ხვ. წილი %	აბსოლ. მაჩვენ.	ხვ. წილი %	აბსოლ. მაჩვენ.	ხვ. წილი %
საბრუნავი საშუალებები	25,873	100	32,620	100	+6,747	0
1. მარაგები	8,682	33,6	12,237	37,5	+3,555	+3,9
ნედლეული და წარმოების დამხმარე მასალა	8,126	31,5	11,104	34	+2,978	+2,5
მზა პროდუქცია	265	1	689	2,1	+424	+1,1
დაუმთავრებელი წარმოება	291	1,1	444	1,4	+153	+0,3
2. სავაჭრო დებიტორული დავალიანება	8,151	31,5	12,803	39,2	+4652	+7,7
სავაჭრო დებიტ. დავალ.	18,652	72,1	23,304	71,4	+4,652	-0,7
გამოკლებული: მოსალოდ. საკრედ. ზარალის რეზერვი	(10,501)	40,6	(10,501)	32,2	0	-8,4
3. გადახდილი ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები	312	1,2	203	0,6	-109	-0,6
4. გაცემული სესხები	1,108	4,3	1,422	4,4	+314	+0,1
5. შეზღუდული წვდომის დეპოზიტები	4,381	16,9	-	-	-4,381	-16,9
6. მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	-	-	146	0,5	+146	+0,5
7. ფული და მისი ექვივ.	3,239	12,5	5,809	17,8	+2,570	+5,3
ბანკში არსებული ნაშთები	3,238	12,49	5,805	17,79	+2,567	+5,3
ნაღდი ფული სალაროში	1	0,01	4	0,01	+3	0

სს „თელიანი ველის“ საბრუნავი საშუალებების დინამიკის ანალიზის შედეგად დგინდება, რომ საბრუნავი საშუალებები 2018 წელს გაიზარდა 6,747 ათასი ლარით. საბრუნავი საშუალებების სტრუქტურის შესწავლამ აჩვენა, რომ საბრუნავი საშუალებების საერთო ოდენობაში იზრდებოდა, როგორც მარაგების ხვედრითი წილი, ასევე სავაჭრო დებიტორული დავალიანებებისაც. მარაგების ზრდა შეიძლება დაკავშირებული იყოს რეალიზაციის ტემპების შენელებასთან, რაც უარყოფითად აისახება საბოლოო ჯამში საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე. დებიტორული დავალიანებებიც საყურადღებოა, რადგან შესაძლოა მათი ზრდა უკავშირდებოდეს ხანდაზმული დავალიანებების სიჭარბეს. 2018 წელს მარაგების საერთო რაოდენობაში ნედლეულსა და დამხმარე მასალას უჭირავს 34%, მაშინ როდესაც მზა პროდუქციის ხვედრითი წილი მხოლოდ 2,1%, თუმცა აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 2017 წელს მზა პროდუქციის ხვედრითი წილი 1% იყო. ფულადი საშუალებები კი 2018 წელს გაიზარდა 5,3%-ით.

საბოლოოდ, ავანსირებული ღირებულების ბრუნვაობის მაჩვენებლებზე და საქმიანი აქტივობის ზოგად შეფასებაზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ შერჩეული საანალიზო საწარმოების მდგომარეობა არ არის დამაკმაყოფილებელი, რადგან მიღებული შედეგები არ არის პოზიტიური.

კომპანიების საქმიანი აქტივობის უკეთ შესაფასებლად განხილულია საანალიზო საწარმოების ფინანსური მდგომარეობა შემდეგ მაჩვენებლებზე დაყრდნობით: საკუთარი და მოზიდული სახსრების თანაფარდობის კოეფიციენტი, საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი, ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტი და ნასესხები კაპიტალის რენტაბელობა.

სს „მატო მუხრანის“ ფინანსური ანგარიშგების მონაცემების მიხედვით გამოთვლილია ზემოთ ჩამოთვლილი კოეფიციენტები, შეფასებულია გადახრები და გამოთქმულია მიღებული შედეგების საფუძველზე შესაბამისი ვარაუდები (იხ. ცხრილი №8).

ცხრილი №8. სს „მატო მუხრანის“ ფინანსური სტაბილურობის კოეფიციენტები

კოეფიციენტები	2017	2018	გადახრა წინა წელთან შედარებით
საკუთარი მოზიდული სახსრების თანაფარდობის კოეფიციენტი	1,5	1,2	-0,3
საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი	0,6	0,5	-0,1
ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტი	1,7	1,9	+0,2
ნასესხები კაპიტალის რენტაბელობა	0,1	0,03	-0,07

ცხრილიდან ჩანს, რომ წინა წელთან შედარებით 2018 წელს მონაცემები გაუარესებულია. კერძოდ, შემცირებულია საკუთარი და მოზიდული სახსრების თანაფარდობის კოეფიციენტი, რაც მიუთითებს ფინანსური მდგომარეობის არასაიმედოობაზე. ასევე შემცირდა საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი, რომელიც გვიჩვენებს აქტივებში საკუთარი კაპიტალის წილს.

ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტი გაზრდილია, ესე იგი საწარმო უფრო მეტად გახდა დამოკიდებული კრედიტორებზე წინა წელთან შედარებით. ეს კი ზრდის იმ საფრთხის მოცულობას, რომლის წინაშეც შეიძლება აღმოჩნდეს მომავალში საწარმო.

რაც შეეხება ნასესხები კაპიტალის რენტაბელობას, ეს მაჩვენებელიც შემცირებულია. მისი შემცირება კი მიუთითებს ნასესხები სახსრების გამოყენების არაეფექტურობაზე. შესაძლებელია კომპანია ვერ ანაწილებს სწორად აღებულ რესურსებს და ვერ იყენებს მათ მომგებიანობის გასაზრდელად და მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მაშინ როდესაც

ნასესხები კაპიტალის რენტაბელობის კოეფიციენტი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორია, რომელსაც შეუძლია განსაზღვროს ბიზნესის განვითარების სტრატეგია.

ანალოგიურად გამოთვლილია სს „თელიანი ველის“ ფინანსური ანგარიშგების მონაცემებზე დაყრდნობით ფინანსური სტაბილურობის კოეფიციენტები, რომელიც წარმოდგენილია ცხრილის სახით (იხ. ცხრილი №9).

ცხრილი №9. სს „თელიანი ველის“ ფინანსური სტაბილურობის კოეფიციენტები

კოეფიციენტები	2017	2018	გადახრა წინა წელთან შედარებით
საკუთარი მოზიდული სახსრების თანაფარდობის კოეფიციენტი	5,7	5,1	-0,6
საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი	0,9	0,8	-0,1
ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტი	1,17	1,19	+0,02
ნასესხები კაპიტალის რენტაბელობა	0,4	0,2	-0,2

სს „თელიანი ველის“ ფინანსური მდგომარეობაც გაუარესებულია წინა წელთან შედარებით. კერძოდ, შემცირებულია საკუთარი და მოზიდული სახსრების თანაფარდობის კოეფიციენტი 0,6-ით, მაშინ როდესაც ამ კოეფიციენტის ზრდის შემთხვევაში იზრდება ფინანსური მდგომარეობის საიმედოობა.

2018 წელს წინა წელთან შედარებით შემცირებულია საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტიც, ანუ შემცირებულია ქონების ის ნაწილი, რომელიც შეძენილია საკუთარი კაპიტალით.

ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტი კი გაზდილია, თუმცა უმნიშვნელოდ 0,02-ით. მიუხედავად ამისა, ამ კოეფიციენტის ზრდა არახელსაყრელი ფაქტორია, რადგან მიუთითებს საწარმოს დამოკიდებულების ზრდაზე კრედიტორების წინაშე. ყოველივე ამან კი შეიძლება გამოიწვიოს ფინანსური სტაბილურობის უსაფრთხოებისა და გადახდისუნარიანობის დონის შემცირება.

ნასესხები სახსრების რენტაბელობა მოგების ის დონეა, რომელიც მოდის ნასესხები სახსრების ყოველ ერთ ლარზე. ნასესხები კაპიტალის რენტაბელობის შემცირება კი მიუთითებს, რომ კომპანია ეფექტურად ვერ იყენებს სესხებისა და კრედიტებიდან მიღებულ ფულს, რაც ამცირებს ნასესხები სახსრების გამოყენების ეფექტიანობასა და მოგებას.

გამოთვლილი კოეფიციენტების საფუძველზე შესაძლებელია გამოითქვას ვარაუდი, რომ სს „მატო მუხრანისა“ და სს „თელიანი ველის“ ფინანსური სტაბილურობა გარკვეული საფრთხეების წინაშე დგას, რადგან ფინანსური დამოკიდებულების ზრდასთან ერთად არაეფექტურად გამოიყენება ნასესხები სახსრებიც, ასევე შემცირებულია საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტით.

2.3 საანალიზო საწარმოების გადახდისუნარიანობისა და ავანსირებული ღირებულების ბრუნვალობის კორელაციური ანალიზის შედეგები

ფინანსური ანალიზის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა საქმიანობის შედეგების გამომწვევი მიზეზების პოვნა და შესწავლა.

მიზეზი - ეს არის ფაქტორი ან გარემოება, რომელიც ამ თუ იმ მოვლენას განაპირობებს. მიზეზი წარმოშობს შესაბამის მოვლენას, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს როგორც ცვლილება, ასევე მთლიანად გაქრობაც კი. შედეგი ეს არის მიზეზის მოქმედების გამოვლინება. ზოგჯერ, მიზეზი არ არის ხილული, ამიტომ საჭიროა მეცნიერული კვლევების ჩატარება.

საწარმოთა ეკონომიკურ საქმიანობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მიზეზ-შედეგობრივი კავშირების სწორად შეფასებას, რადგან ამის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებები სწორი და მართებული იქნება.

კორელაცია ახასიათებს კავშირს ორ ცვლადს შორის და ზომავს მათ შორის არსებული კავშირის სიძლიერეს.

კორელაცია შესაძლებელია იყოს ნაწილობრივი ან სრულყოფილი, უარყოფითი ან დადებითი. როდესაც კორელაცია დადებითია, მაშინ ცვლადებს შორის პირდაპირპროპორციული დამოკიდებულებაა. ხოლო, უარყოფითი კორელაციის შემთხვევაში - უკუპროპორციული დამოკიდებულება.

ორ ცვლადს შორის კავშირის ხარისხის დასადგენად კორელაციის კოეფიციენტი (r) გამოიყენება. კორელაციის კოეფიციენტს შეუძლია მნიშვნელობები მიიღოს მხოლოდ $+1$ -სა და -1 -ს შორის. როცა

$r = +1$ გვიჩვენებს სრულყოფილ დადებით კორელაციას;

$r = 0$ გვიჩვენებს, რომ კორელაცია ანუ კავშირი არ არსებობს;

$r = -1$ გვიჩვენებს სრულყოფილ უარყოფით კორელაციას.

კორელაციის კოეფიციენტი შემდეგი ფორმულით გამოითვლება:

$$r = \frac{n * \sum xy - \sum x * \sum y}{\sqrt{(n * \sum x^2 - (\sum x)^2)(n * \sum y^2 - (\sum y)^2)}}$$

სადაც:

x - არის დამოუკიდებელი ცვლადი ანუ ფაქტორი;

y - არის დამოკიდებული ცვლადი ანუ ფაქტორი;

n - არის წევრთა რიცხვი აღებულ სიმრავლეში. [9,39]

დეტერმინაციის კოეფიციენტი (D) გვიჩვენებს დამოკიდებული მაჩვენებლის ცვლილების რამდენი პროცენტია განპირობებული დამოუკიდებელი ცვლადის ცვლილების გავლენით.

$$D = r^2$$

ახლა კი საანალიზო საწარმოების მონაცემებზე დაყრდნობით გაანგარიშებულია კორელაციის კოეფიციენტი, გამოთქმულია შესაბამისი დასკვნები და შეფასებულია საწარმოები მათი საქმიანი აქტივობის შესაბამისად.

სს „შატო მუხრანის“ ბუღალტრულ ბალანსზე დაყრდნობით შესაძლებელია იმის გაგება არსებობს თუ არა კორელაცია, მაგალითად, მიმდინარე ვალდებულებებსა და მიმდინარე აქტივებს შორის, და თუ არსებობს რა ტიპის არის ეს კორელაცია (იხ. ცხრილი №10).

ცხრილი №10.

წლები	მიმდინარე ვალდებულებები (x)	მიმდინარე აქტივები (y)
2016	9 835	10 306
2017	1 126	9 915
2018	1 041	10 248

ცხრილში მოცემულ მონაცემებზე დაყრდნობით გაანგარიშებულია კორელაციის კოეფიციენტი.

$$r = \frac{3 * 123,191,968 - 12002 * 30469}{\sqrt{(3 * 99,078,782 - 12002^2)(3 * 309,542,365 - 30469^2)}} = \frac{3,886,966}{6,397,016} = 0,6076$$

ვინაიდან კორელაციის კოეფიციენტს აქვს დადებითი მნიშვნელობა, ამიტომ კავშირი მიმდინარე ვალდებულებებსა და მიმდინარე აქტივებს შორის არის პირდაპირპროპორციული, თან მაღალი, რადგან ერთთან არის ახლოს. დადებითი პირდაპირპროპორციული დამოკიდებულების დროს ერთი ცვლადის ცვლილება იწვევს მეორე ცვლადის ცვლილებასაც, ეს კი ცხადყოფს ცვლადებს შორის დამოკიდებულებას. ამიტომ საწარმო თუ გადაწყვეტს რომელიმე ცვლადის გაზრდას ის უკვე უნდა ელოდებოდეს მეორე ცვლადის ავტომატურ ზრდასაც.

$$D=0,6076^2 = 0,3692 \text{ ანუ } 36,92\%.$$

დეტერმინაციის კოეფიციენტი თანახმად, მიმდინარე აქტივების 36,92% გამოწვეულია მიმდინარე ვალდებულებებში ცვლილების ზეგავლენით.

ანალოგიურად განხილულია სს „თელიანი ველის“ კორელაციის და დეტერმინაციის კოეფიციენტი ბუღალტრული ბალანსის მონაცემებზე დაყრდნობით (იხ. ცხრილი №11).

ცხრილი №11.

წლები	მიმდინარე ვალდებულებები (x)	მიმდინარე აქტივები (y)
2016	7 614	20 018
2017	10 497	25 873
2018	12 416	32 620

$$r = \frac{3 * 829,015,853 - 30,527 * 78,511}{\sqrt{(3 * 322,317,061 - 30,527^2)(3 * 2,134,196,853 - 78,511^2)}} = \frac{90,342,262}{91,456,138} = 0,9878$$

ამ შემთხვევაშიც კორელაციის კოეფიციენტი დადებითია, რაც იმას ნიშნავს რომ მიმდინარე აქტივებსა და მიმდინარე ვალდებულებებს შორის კავშირი პირდაპირპროპორციულია და თან ძალიან მაღალი, რადგან ის თითქმის ერთის ტოლია, ანუ თითქმის სრულყოფილ დადებით კორელაციასთან აქვს საწარმოს საქმე.

$$D=0,9878^2 = 0,9757 \text{ ანუ } 97,57\%.$$

დეტერმინაციის კოეფიციენტის თანახმად, მიმდინარე აქტივების ცვლილების 97,57% გამოწვეულია მიმდინარე ვალდებულებების ცვლილების ზეგავლენით.

გამოთვლებიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ საკუთარი საბრუნავი სახსრების ცვლილება პირდაპირ უკავშირდება მიმდინარე აქტივებსა და მიმდინარე ვალდებულებებს, რადგან საკუთარი საბრუნავი სახსრები ამ ორი მაჩვენებლის სხვაობის ტოლია. თუ საკუთარი საბრუნავი სახსრები იზრდება, ეს ნიშნავს რომ გაიზარდა როგორც მიმდინარე აქტივები, ასევე მიმდინარე ვალდებულებებიც. მეორე მხრივ, სავარაუდოა, რომ მიმდინარე აქტივების დაფინანსება თითქმის მთლიანად მიმდინარე ვალდებულებების ხარჯზე ხდება, რაც ნეგატიური მოვლენაა, რადგან ამ შემთხვევაში მცირდება საწარმოს გადახდისუნარიანობის უნარი. ამ დროს შეიძლება საწარმომ მიმდინარე ვალდებულებები გრძელვადიანი აქტივების ხარჯზე დაფაროს, რაც არასწორი პოლიტიკაა და არასასურველ შედეგთან მიიყვანს საბოლოოდ საწარმოს.

საწარმოს საქმიან აქტივობასა და გადახდისუნარიანობას შორის მჭიდრო კავშირია, რადგან თუ საწარმო აქტივობის მაღალი დონით ხასიათდება, მაშინ საწარმოს უფრო მეტი რესურსი და შესაძლებლობა აქვს იმისთვის, რომ გაზარდოს გადახდისუნარიანობის მაჩვენებელი. საერთო ლიკვიდურობაც თავის მხრივ დაკავშირებულია ავანსირებული ღირებულების ბრუნვის რიცხვთან, მისი ზედმეტად მაღალი მნიშვნელობა იწვევს ბრუნვის რიცხვის შემცირებას.

ავანსირებული ღირებულების ბრუნვადობის მაჩვენებლების გავლენით შეიძლება დარეგულირდეს საწარმოს შესაძლებლობა დროულად დაფაროს ვალდებულებები, თან ისე რომ დარჩეს საკმარისი რესურსი კომპანიის საქმიანობის გაგრძელებისა და გაუმჯობესებისთვის. მაგალითად, თუ დებიტორული დავალიანების დაფარვის პერიოდი შემცირდება, ეს საწარმოსთვის მნიშვნელოვანია, რადგან ექნება იმის შესაძლებლობა რომ მიღებული ფულადი რესურსები გამოიყენოს არა მხოლოდ მიმდინარე ვალდებულებების დაფარვისთვის, არამედ მოახდინოს მიღებული ფულადი თანხების რეინვესტირება. რაც უფრო დაჩქარდება ეს პროცესი, მით უფრო ეფექტური იქნება ყოველივე ეს საწარმოს განვითარებისთვის.

ბრუნვადობის მაჩვენებლების გაუმჯობესება, საბოლოოდ გავლენას მოახდენს ლიკვიდურობის კოეფიციენტზე, რაც საბოლოოდ განაპირობებს საწარმოს გადახდისუნარიანობის, ლიკვიდურობისა და საქმიანი აქტივობის ეფექტიანობას, არსებული შედეგების გაუმჯობესებას და ახალ შესაძლებლობებს.

ზემოთ განხილულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს არა მხოლოდ ერთი რომელიმე კონკრეტული მაჩვენებლის გაუმჯობესებაზე, არამედ იმ მაჩვენებლებზეც, რომლებიც დაკავშირებულნი არიან ერთმანეთთან, რადგან ეს გაამარტივებს სასურველი შედეგის მიღებას.

დასკვნა

კვლევის განმავლობაში განხილულ იქნა საწარმოს გადახდისუნარიანობის, ლიკვიდურობისა და ავანსირებული ღირებულების ბრუნვადობის მაჩვენებლები. მიღებული შედეგების საფუძველზე გამოთქმულია ვარაუდები და შეფასებულია საწარმოს საქმიანობა.

ლიკვიდურობის კოეფიციენტების საფუძველზე სს „შატო მუხრანის“ მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია, რადგან ის თითქმის არცერთი პარამეტრით არ არის მოქცეული სასურველ ზღვრებში. მაგალითად, მაშინ, როდესაც საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი ორსა და სამს შორის უნდა მერყეობდეს, განხილულ შემთხვევაში 9,8-ის ტოლია. ამ მაჩვენებლის მაღალი მნიშვნელობა არასასურველია, რადგან ეს შეიძლება მიუთითებდეს რეალიზაციისა და წარმოების პროცესების შეფერხებაზე, ბრუნვის დაცემასა და ფინანსურ არასტაბილურობაზე.

სს „თელიანი ველის“ მდგომარეობა შედარებით უკეთესია, რადგან რამდენიმე პარამეტრით ის აკმაყოფილებს წინასწარ განსაზღვრულ ზღვრებს. მაგალითად, სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი, რომელიც 1,5-ის ტოლია, მაშინ როდესაც ზღვარი ერთსა და ორს შორის არის მოთავსებული. ეს კი ნიშნავს, რომ მიმდინარე ვალდებულებების დამაკმაყოფილებელი რაოდენობა ივარება მიმდინარე აქტივებით.

რაც შეეხება ავანსირებული ღირებულების ბრუნვის რიცხვს, არცერთი საანალიზო საწარმოს მდგომარეობა არ არის სახარბიელო, რადგან საკმაოდ დიდია ავანსირებული ღირებულების ბრუნვის რიცხვი, რომელიც გვიჩვენებს თუ რამდენი დღე სჭირდება ავანსირებული ღირებულების შემობრუნებას, შატო მუხრანისთვის ის 369 დღის ტოლია, ხოლო თელიანი ველისთვის - 356 დღე. ეს მაჩვენებელი არადამაკმაყოფილებელია, რადგან წელიწადში მხოლოდ ერთხელ ახერხებს შემობრუნებას, რაც იწვევს საწარმოო პროცესებისა და განვითარების შენელებას. ავანსირებული ღირებულების ბრუნვადობის დაჩქარებით გამოთავისუფლდება ფულადი სახსრები. ხოლო, ბრუნვადობის შენელება იწვევს ბრუნვაში დამატებითი სახსრების მოზიდვის აუცილებლობას. სწორედ ამიტომ,

კომპანიის ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა ავანსირებული ღირებულების ბრუნვალობის დაჩქარება.

ასევე დაბალია დებიტორული დავალიანების ამოღების პერიოდიც. შატო მუხრინისთვის ის 103 დღის ტოლია, ხოლო თელიანი ველისთვის 151 დღის. მომავალში ამ მაჩვენებლის ზრდამ შესაძლებელია სავალალო შედეგამდე მიიყვანოს კომპანია, რადგან ის გამოიწვევს საწარმოო პროცესების შენელებასა და ქმედითუნარიანობის შემცირებას.

საწარმოს საქმიანი აქტივობის ანალიზის შედეგად ვხედავთ, რომ საანალიზო საწარმოების მდგომარეობა არასახარბიელოა, საჭიროა მიღებული შედეგების გაანალიზება და მათი გამომწვევი მიზეზების შესწავლა, რათა დროულად მოხდეს რეაგირება და არსებული სიტუაციის სამომავლოდ გაუმჯობესება.

კორელაციის ანალიზის დროს დადგინდა, რომ მიმდინარე აქტივებსა და მიმდინარე ვალდებულებებს შორის მჭიდრო კავშირია. დეტერმინაციის კოეფიციენტმა კი აჩვენა, რომ თელიანი ველის შემთხვევაში მიმდინარე აქტივების 90%-ზე მეტი დაფინანსებულია მიმდინარე ვალდებულებების ხარჯზე, რაც არასწორი პოლიტიკაა, რადგან ეს შესაძლოა უარყოფითად აისახოს საწარმოს გადახდისუნარიანობაზე.

თუმცა, აუცილებელია ყურადღება გამახვილდეს მოგების ზრდის ტემპზე. შატო მუხრანი, რომელიც 2016 წელს ზარალზე გავიდა, 2017 წელს მან ზარალის რაოდენობა შეამცირა, ხოლო 2018 წელს უკვე მოგება დაფიქსირდა. თელიანი ველის შემთხვევაში კი შეინიშნება მოგების ზრდის ტემპი, თუმცა საყურადღებოა რომ საბაზისო წელთან შედარებით 2017 წელს დაფიქსირებული ზრდის ტემპი 2018 წელს დაეცა.

საწარმოს ფინანსურმა განყოფილებამ უნდა გამოავლინოს და შეისწავლოს ის ფაქტორები, რომელიც განაპირობებენ არსებულ შედეგებს. მნიშვნელოვანია შესწავლილ იქნეს თითოეული ის გამომწვევი მიზეზი, რომელიც მოცემულ შედეგებს იწვევს.

მიზანშეწონილია გადაიხედოს საწარმოს საქმიანი აქტივობის გეგმა, ყურადღება გამახვილდეს რესურსების გადანაწილებაზე, შეფასდეს საწარმოო პოლიტიკა და მიზნობრივად იქნას შესრულებული თითოეული ოპერაცია, რათა თავიდან იქნას აცილებული დამატებითი ხარჯები, რაც საბოლოო ჯამში მოგების შემცირებას განაპირობებს.

საანალიზო საწარმოებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ დებიტორულ დავალიანებებზე, რადგან შეინიშნება მისი ზრდის ტემპი, რაც შეიძლება განპირობებული იყოს დებიტორული დავალიანების ამოღების პერიოდის ზრდით. განსაკუთრებით, იმიტომ, რომ ეს მაჩვენებელი ორივე ღვინის კომპანიისთვის არის დაბალი. დებიტორული დავალიანების დაფარვის შედაგად მიღებული ფულადი სახსრებით ხდება საწარმოს მიერ გადასახადების, ვალდებულებების დაფარვა და საქმიანობის გაგრძელება, ამიტომ საწარმოებმა მათი შედეგების გაუმჯობესებისთვის უნდა შეისწავლონ გამომწვევი, ხელშემწყობი და ხელშემშლელი ფაქტორები.

ასევე კომპანიამ ყურადღება უნდა დაუთმოს უშუალოდ წარმოების პროცესს, რადგან ორივე საანალიზო საწარმოში დიდია დაუმთავრებელი წარმოებისა და ნედლეულისა და მასალების ხვედრითი წილი, მაშინ როდესაც მზა პროდუქციის რაოდენობა მინიმალურია სხვა მაჩვენებლებთან შედარებით. 2018 წელს სს „მატო მუხრანისთვის“ დაუმთავრებელი წარმოება 4,019 ათას ლარს შეადგენდა, ხოლო მზა პროდუქცია 1,453 ათას ლარს. სს „თელიანი ველისთვის“ კი ნედლეულისა და დამხმარე მასალის მოცულობა 8,126 ათას ლარს შეადგენდა, მაშინ როდესაც მზა პროდუქციის მოცულობა მხოლოდ 265 ათასი ლარია. ყოველივე ეს მიანიშნებს წარმოების პროცესების შენელებასა და შეფერხებაზე, ასევე რესურსების არაეფექტურ გადანაწილებასა და არასწორ სტრატეგიაზე. ამიტომ მენეჯმენტის მიერ გადახედილ უნდა იქნეს საწარმოო გეგმა და გატარებულ იქნეს შესაბამისი რეგულაციები არსებული შედეგების გასაუმჯობესებლად.

ასევე საყურადღებოა საწარმოს დაფინანსების წყაროები, რადგან შემცირებულია ნასესხები კაპიტალის რენტაბელობის კოეფიციენტი, რაც მიანიშნებს ნასესხები სახსრების

არაეფექტურ გამოყენებაზე. გაზრდილია ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტი, ანუ საანალიზო საწარმოები უფრო მეტად დამოკიდებულნი ხდებიან კრედიტორებზე, თანაც მაშინ როდესაც საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი ეცემა და მცირდება ქონების იმ ნაწილის მოცულობა, რომელიც შეძინილია საკუთარი კაპიტალის ხარჯზე.

საანალიზო საწარმოების მდგომარეობა არაერთი მაჩვენებლის მიხედვით არის არადამაკმაყოფილებელი, ამიტომ საჭიროა გამოკვლევულ იქნეს თითოეული მათგანის განმაპირობებელი ფაქტორები და ყურადღება იქნეს გამახვილებული მათ გამოსწორებაზე. ხარვეზების აღმოჩენა საშუალებას მისცემს საწარმოს დასახოს სამომავლოდ სამოქმედო გეგმა, გამოასწოროს დაშვებული შეცდომები და გაუმჯობესოს არსებული შედეგი.

თუ საწარმო საკუთარი რესურსებით ვერ შეძლებს სიტუაციის შეფასებასა და ანალიზს, მაშინ რეკომენდირებულია ანალიტიკოსის მოწვევა, რომელიც შეისწავლის საწარმოს მდგომარეობას, მისცემს მათ საჭირო რჩევებსა და რეკომენდაციებს, რომელიც დაეხმარება საანალიზო საწარმოებს გადახდისუნარიანობისა და საქმიანი აქტივობის მაჩვენებლების გაუმჯობესებაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კანონი გადახდისუნარიობის საქმის წარმოების შესახებ;
2. ჭილაძე ი., გოგრიჭიანი ზ., ეკონომიკური ანალიზი (თეორია, მეთოდოლოგია, პრაქტიკა). გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2011;
3. ჭილაძე ი., მმართველობითი აღრიცხვა. გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2018;
4. ჭილაძე ი., ფინანსური ანალიზი, მესამე გადამუშავებული გამოცემა. გამომცემლობა „მერანი“, თბილისი 2018;
5. ხარაბაძე ე., ფინანსური აღრიცხვა. გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი 2009;
6. ხორავა ა., კვატაშიძე ნ., სრესელი ნ., გოგრიჭიანი ზ., ბუღალტრული აღრიცხვა. გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2011;
7. ჯიქია მ., ფინანსური ანალიზი. გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2011;
8. ჯიქია მ., ჩეჩელაშვილი რ., ბურდული ფ., ეკონომიკური ანალიზი. გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2010;
9. Бернштаин Л.А., Анализ финансовой отчетности, Пер. с англ. М. 2003.
10. Бочаров В.В. Финансовый анализ: учебное пособие / В.В. Бочаров. – 2-е изд. – СПб.: Питер, 2009. -240с.
11. Ионова А.В., Селезнёва Н.Н., Финансовый анализ. “Проспект” 624 М. 2006.
12. Карлин Т., Макмин Н., Анализ финансовых отчетов (на основе GAAP)/Пер.с. англ., М. 2004
13. Ковалёв А.И., Привалов В.П., Анализ финансового состояния предприятия. Центр экономики и маркетинга, М. 2005.
14. Ковалёв В.В., Финансовый анализ, Управление капиталом, Выбор инвестиций, Анализ отчетности, 2-е изд., перераб. и доп. “Финансы и статистика”, 2007.
15. Колмыкова Е.С. “Соотношение понятий “платежеспособность” и “ликвидность” статья в журнале – научная статья., Общество с ограниченной ответственностью “Издательство Молодой ученый”. Чита., 2014., 457-460с.

16. Петрова Л.В. Анализ и диагностика финансово – хозяйственной деятельности: Учебное пособие для вузов / Л.В. Петрова, Игнатущенко Н.А., Фролова Т.П. – Издательство Московского государственного открытого университета, 2009 г. – 179с.
17. Тренев В.Н., Ириков В.А. Реформирование и реструктуризация предприятий. Методика и опыт. – М.: ”Издательство ПРИОР”, 2004г.-502с.
18. ანგარიშგების პორტალი <https://reportal.ge/>
19. სს „თელიანი ველი“ <http://www.telianivalley.com/>
20. სს „შატო მუხრანი“ <https://chateaumukhrani.com/ge/home>

დანართი

დანართი №1. სს „მატო მუხრანის“ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ათას ლარებში).

ათას ლარებში	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
აქტივები		
ძირითადი საშუალებები	27,528	21,466
არამატერიალური აქტივები	5	-
გრძელ. აქტივ. გადახდილი ავანსი	2,152	2,291
ვადიანი დეპოზიტი	-	76
სულ გრძელვადიანი აქტივები	29,685	23,833
მარაგები	6,993	6,540
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,018	2,286
საგადასახადო მოთხოვნები	42	132
ფულადი სახსრები და მათი ეკვივ.	195	957
სულ მიმდინარე აქტივები	10,248	9,915
სულ აქტივები	39,933	33,748
კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი	16,111	16,111
სააქციო პრემია	33,877	33,877
დამატებით გადახდილი კაპიტალი	965	529
გადაფასების რეზერვი	6,100	6,100
აკუმულირებული ზარალი	(35,688)	(32,261)
სულ კაპიტალი	21,365	20,356
სესხები დაკავშირებულ მხარეებისგან	17,527	12,266
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	17,527	12,266
სავაჭრო და სხვა ვალდებულება	1,041	1,126
მიმდინარე ვალდებულებები	1,041	1,126
სულ ვალდებულებები	18,568	13,392
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	39,933	33,748

წყარო: ანგარიშგების პორტალი www.reportal.ge

დანართი №2. სს „მატო მუხრანის“ 2018 წლის მოგება ან ზარალის ან სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება (ათას ლარში).

ათას ლარში	2018	2017
შემოსავალი	9,387	7,852
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(5,058)	(4,329)
მთლიანი მოგება	4,329	3,613
სხვა შემოსავალი	171	62
ადმინისტრაციული ხარჯები	(2,419)	(2,474)
გაყიდვის და დისტრუბუციის ხარჯები	(813)	(618)
მარკეტინგის ხარჯები	(379)	(398)
ძირითადი საშუალებების გაუფასურება	-	(1,454)
არამატერიალური აქტივების გაუფასურება	-	(14)
სხვა ხარჯები	(36)	(9)
საოპერაციო საქმიანობის შედეგები	853	(1,292)
ფინანსური შემოსავალი	9	154
ფინანსური ხარჯი	(289)	(133)
წმინდა ფინანსური (ხარჯი)/შემოსავალი	(280)	21
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	573	(1,271)
მოგების გადასახადის ხარჯი	-	-
წლის მოგება/(ზარალი)	573	(1,271)
სხვა სრული შემოსავალი		
ერთეულები, რომლებიც არასოდეს იქნება კლასიფიცირებული მოგებაში ან ზარალში		
ძირითადი საშუალებების გადაფასება	-	2,842
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	573	1,571

წყარო: ანგარიშგების პორტალი www.reportal.ge

დანართი №3. სს „თელიანი ველის“ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ათას ლარში).

ათას ლარებში	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	6,790	6,571
არამატერიალური აქტივები	303	171
ინვესტიცია შვილობილ საწარმოებში	77,734	72,165
გაცემული სესხები	332	-
გადახდილი ავანსები	-	49
სულ გრძელვადიანი აქტივები	85,159	78,956
მოკლევადიანი აქტივები		
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	12,237	8,682
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	12,803	8,151
გადახდილი ავანსები და სხვა მიმდ. აქტივი	203	312
გაცემული სესხები	1,422	1,108
შეზღუდული წვდომის დეპოზიტი	-	4,381
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებ. მიმართ	146	-
ფულადი სახსრები და მათი ეკვივივალენტი	5,809	3,239
სულ მიმდინარე აქტივები	32,620	25,873
სულ აქტივები	117,779	104,829
საკუთარი კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	5,525	5,200
საემისიო კაპიტალი	83,992	78,748
გაუნაწილებელი მოგება	8,986	5,209
სულ საკუთარი კაპიტალი	98,503	89,157
პროცენტული სესხები და გადასახ. ანგარიში	6,860	5,175
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	6,860	5,175
სავაჭრო და კრედიტორული დავალიანება	3,675	2,098
საგად. დავალ. მოგების გადასახადის გარდა	146	288
პროცენტული სესხები და გადასახ. ანგარიში	7,550	7,813
სახელშეკრულებო ვალდებულებები	194	95
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	851	203
მიმდინარე ვალდებულებები	12,416	10,497
სულ ვალდებულებები	19,276	15,672
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	117,779	104,829

წყარო: ანგარიშგების პორტალი www.reportal.ge

დანართი №4. სს „თელიანი ველის“ სრული შემოსავლის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (ათას ლარში).

ათას ლარში	2018	2017
შემოსავალი და შემოსულობები	25,318	19,988
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	(15,467)	(10,161)
საერთო მოგება	9,851	9,827
რელიზაციისა და დისტრუბუციის ხარჯები	(1,119)	(1,172)
ადმინისტრაციული ხარჯები	(3,359)	(2,749)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(255)	(242)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული შედეგები	5,118	5,664
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები	(1,044)	(997)
ფინანსური საქმიან. მიღებული შემოსავალი	232	524
საკურსო სხვაობიდან მიღებული წმინდა (ზარალი)/შემოსულობა	(2)	752
ხელმძღვანელობის შეცვლის დანახარჯები	(527)	-
დასაბეგრი მოგება	3,777	5,943
მოგების გადასახადი	-	-
წლის მოგება	3,777	5,943
სხვა სრული შემოსავალი	-	-
მთლიანი სრული შემოსავალი	3,777	5,943

წყარო: ანგარიშგების პორტალი www.reportal.ge